ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## პაპუაშვილი — 45.000, კვაჭანტირაძე — 30.000

პატარა შემოსავალი და დიდი პარტიული შეწირულობა





გვ.6



## 10 მარტიდან

120 ამბავი

## ალექსანდრე მაკედონელი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




შაბათი — კვირა, 11 — 12 მარტი, 2017

№59 (7294)

ფასი: 50 თეთრი

# „მარგველაშვილის წინააღმდეგ კობახიძე ივანიშვილმა აამხედრა“



გვ.2







ლევან ხაბეიშვილი: „150-კაციან პარლამენტში 128 უსაქმური დეპუტატია“

## მამუკა კაციტაძე: „შეუძლებელია, ამ პარლამენტმა 2018 წელს პრეზიდენტი აირჩიოს“



გვ.3



## მამა გიორგი მამალაძის ადვოკატები მისი ჩვენების გასაჯაროებას ითხოვენ



გვ.3

მეუფე პეტრე: „ადამიანი ჯერ უნდა იყოს კაცი და მერე სასულიერო პირი“




გვ.5

## 12 მარტს ანექსირებულ აფხაზეთში საპარლამენტო არჩევნები ტარდება

ანქვაბს საარჩევნოდ 1992 წლის მოვლენები გაუხსენეს

## გიორგი კანაშვილი: „ანქვაბი პოლიტიკაში უკვე დაბრუნდა“



გვ.5

## კახა კალაძე: „არის შესაძლებლობა იმის, რომ გაზის ტარიფები გაიზარდოს“



გვ.6

ISSN 1987-9385



გვ.6

## საქართველოში ვერც ერთი ბიზნესმენი ვერ ააშენებს ახალ აეროპორტს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „მარგველაშვილის წინააღმდეგ კობახიძე ივანიშვილმა აამხედრა“

## ლევან ხაბეიშვილი: „150-კაციან პარლამენტში 128 უსაქმური დეპუტატია“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არაფერს ამბობს პრემიერი პრეზიდენტზე, რატომ გადაეკიდა ირაკლი კობახიძე მარგველაშვილს, რისთვის ამზადებს ფონს „ქართული ოცნება“, რატომ არის პარლამენტი უსაქმურების თავშეყრის ადგილი? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ პოლიტიკური პლატფორმა „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **ლევან ხაბეიშვილი** ესაუბრება.

***— პარლამენტის თავმჯდომარე უკვე ღიად უპირისპირდება პრეზიდენტ მარგველაშვილს. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ეს არის ხელისუფლების შეტევა პრეზიდენტის ინსტიტუტზე. თქვენ ადრე განაცხადეთ, რომ ხელისუფლებას ამ ინსტიტუტის გაუქმება სურს.***

— ხალხის რეაქციის რომ არ ეშინოდეთ, დიდი სიამოვნებით გააუქმებდნენ ამ ინსტიტუტს. ხელისუფლება ირაკლი კობახიძის პირით ღიად ემუქრება მარგველაშვილს და ეუბნება, რომ თუ წესიერად არ მოიქცევა, პრეზიდენტის არჩევის წესს შეცვლიან. აქედანაც ნათლად ჩანს, თუ რა მიდგომა და დამოკიდებულება აქვს ამ ინსტიტუტის მიმართ.

შექმნილ ვითარებაში ერთი კარგი რამეც მოხდა, პრეზიდენტმა დამოუკიდებლად ჩამოაყალიბა საკონსტიტუციო კომისია, რომელიც პარლამენტში შექმნილი კომისიის პარალელურად იმუშავებს. კობახიძე გამოდის და ამბობს, ჩვენს კომისიაში მაღალი ჩართულობააო, რასაც ვერ დავეთანხმები. ამ კომისიაში კვალიფიციური სუბიექტებიც კი არ მონაწილეობენ. ჩვენი პარტიაც კვალიფიციური სუბიექტია, მაგრამ ამ კომისიაში სამუშაოდ არ დაგვიძახეს.

***— მიზეზი რა იყო?***

— არჩევნებზე ჩვენ პაატა ბურჭულაძის პარტიასთან ერთად ვღებულობდით მონაწილეობას. ბლოკის დასახელებაში პირველი ბურჭულაძის პარტია ეწერა და ამიტომ მიიწვიეს ისინი.

***— იურიდიულად არის რაიმე განსხვავება, საარჩევნო ბლოკში ვინ პირველი ეწერება და ვინ მეორე?***

— არანაირი განსხვავება არ არის. „ახალი საქართველო“ ისეთივე კვალიფიციური სუბიექტია, როგორიც ნაციონალური მოძრაობა, ბურჭულაძის პარტია და დემოკრატიული მოძრაობა. ჩვენ გარდა, კიდევ არიან კვალიფიციური სუბიექტები, რომლებსაც კომისიაში სამუშაოდ არ დაუძახეს. ახლა მითხარით, რანაირად არის ამ კომისიაში ფართო სპექტრი წარმოდგენილი, როცა პოლიტიკურ პარტიებს, კვალიფიციურ სუბიექტებსაც კი არ ეძახიან.

***— თქვენი აზრით, ასე რატომ მოიქცნენ?***

— არ უნდოდათ კომისიაში ბევრი ტვინის მბურღავი ჰყოლოდათ, ესენი ხომ სინამდვილეში არაფრის გამკეთებლები არ არიან. რამდენიმე თვეა, რაც შეიკრიბნენ, მაგრამ არაფერი გაუკეთებიათ. იმასაც კი ვერ ამბობენ, რაზე მუშაობენ, რაღაცებს მიედ-მოედებიან. არჩევნების ჩატარების წესი საერთოდ სავაჭრო თემად აქციეს. ამბობენ, რომ შესაძლოა რეგიონალურ-პროპორციულ სისტემაზე გადავიდნენ. არადა 2012 წელს ხალხს დაჰპირდნენ, რომ 2016 წლის არჩევნებისთვის მაჟორიტარული სისტემა უკვე გაუქმებული იქნებოდა. 2016 წლის არჩევნების წინ თქვეს, რომ ახალი სისტემა 2020 წლისთვის ამოქმედდებოდა. ახლა ამბობენ, რომ ამ საკითხზე გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ აქვთ.



მიუხედავად იმისა, რომ ამ კომისიის წევრები არა ვართ, ჩვენი ინიციატივები მივწერეთ. საუბარია სერიოზულ ცვლილებებზე და არა — ფასადურ „რემონტებზე“. პრეზიდენტის მიერ შექმნილ კომისიაში აუცილებლად ვიაქტიურებთ. იქ ყველას შეუძლია ჩართვა და ეს ფაქტი მხოლოდ მისასალმებელია. რასაც ვუყურებ, აქ პროცესი უფრო გამჭვირვალე იქნება, ვიდრე კობახიძის კომისიაში.

მგონი, ხალხიც ატყობს, რომ ამ ყველაფრის გამო პარლამენტის თავმჯდომარე მარგველაშვილზე დაბოღმილია. რაც უფრო ადეკვატურ განცხადებებს აკეთებს პრეზიდენტი, მით მეტად ბოღმიანი ხდება პარლამენტის თავმჯდომარე. პარალელური საკონსტიტუციო კომისია რომ შეიქმნა, ამაზე კობახიძე სულ გადაირია, გრძნობს, რომ მარგველაშვილის კომისია საზოგადოებაში უფრო მაღალ ნდობას მოიპოვებს. მთავარია, პრეზიდენტმა გამჭვირვალობა შეინარჩუნოს.

***— ამბობთ, კობახიძე მარგველაშვილზე იბოღმებაო და ამ ბოღმის მიზეზი რა არის?***

— ირაკლი კობახიძე პარლამენტის თავმჯდომარე კი არის, მაგრამ ერთ კაცს უსრულებს ნება-სურვილებს. იმ ერთი კაცის დიდი სურვილი იყო, რომ მარგველაშვილი არ ჩართულიყო კონსტიტუციის ცვლილებების პროცესში. პარლამენტის თავმჯდომარეს კანონით იმის უფლება არ აქვს, რომ პრეზიდენტს პარალელური კომისიის შექმნა აუკრძალოს და ამიტომაც იბოღმება. მას იმ ერთი კაცის წინაშე ვალდებულება აქვს აღებული, რასაც ვერ ასრულებს და ამით გაბრაზებული დაბოღმილ განცხადებებს აკეთებს.

ამ ადამიანის განცხადებები საერთოდ ცალკე საკითხია. გამოდის და პრეზიდენტს ემუქრება, თუ წესიერად არ მოიქცევი, 2018 წელს პრეზიდენტს პირდაპირი წესით აღარ ავირჩევთო. ხანდახან მგონია, რომ კობახიძის პირით კიმ ჩენ ინი ლაპარაკობს.

***— პრეზიდენტმა საკონსტიტუციო კომისიაში სამუშაოდ დეპუტატებიც მიიწვია. ეს პარლამენტის სპიკერმა პარლამენტის უპატივცემულობად მიიჩნია და პრეზიდენტს მუშაობაში ხელის შეშლის მცდელობაც კი დააბრალა, რადგან კომისიის შეხვედრის პირველი დღე პარლამენტის პლენარულ სხდომას დაემთხვა.***



— და მერე რა, რომ დაემთხვა, ან რაში უნდა შეუშალონ დეპუტატებს ხელი. არაფრის გამკეთებლები ეგენი არ არიან, ამოიჩრიან „პაპკებს“ და ტყუილად დადიან წინ და უკან.

ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, საიდანაც კარგად ჩანს, როგორ მუშაობს პარლამენტი. ამ კვლევის შედეგებს მოგვიანებით გავასაჯაროებთ, რაღაც დეტალს ახლავე გეტყვით და თავად შეაფასეთ, როგორ „მონდომებით“ მუშაობენ დეპუტატები.

2016–2020 წლების მოწვევის პარლამენტის შეკრებიდან 106 დღე გავიდა. ამ პერიოდის განმავლობაში, ხელისუფლებას და ოპოზიციას საერთო ჯამში მხოლოდ 9 კანონპროექტი აქვს წარდგენილი. ამ 9 კანონპროექტზე 22-მა ადამიანმა იმუშავა მხოლოდ. დანარჩენი 128 კაცი პარლამენტში რას აკეთებს? ფორმალურად მაინც ამოიღონ ხმა.

ხელისუფლება რომ მატყუარაა და არაფრის გამკეთებელია, ვიცით, მაგრამ რა დაემართა ოპოზიციას? ისინი ხომ ხალხს რაღაცებს დაჰპირდნენ. 3 თვეზე მეტია, რაც პარლამენტში სხედან, მაგრამ არც ერთი საკანონმდებლო ინიციატივით არ გამოსულან.

***— მომუშავეთა რიგებში თუ არიან მილიონერი დეპუტატები?***

— 41 მილიონერი დეპუტატიდან მხოლოდ 3-ს აქვს კანონპროექტების შემუშავებაში მონაწილეობა მიღებული. ეს ყველაფერი მომწერა პარლამენტმა და ოფიციალური ინფორმაციაა.

***— მოდით, ისევ პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის დაპირისპირებას დავუბრუნდეთ. დავით უსუფაშვილი როცა იყო სპიკერი, ასეთი რამე არასდროს მომხდარა. მარგველაშვილს ღარიბაშვილი უპირისპირდებოდა ძირითადად. მისი შემცვლელი კვირიკაშვილი ვერ ქაჩავს დაპირისპირებას?***

— ღარიბაშვილი, კობახიძის მსგავსად, თავის განცხადებებში უზრდელი, უხეში და თავხედი იყო. გიორგი კვირიკაშვილს კარგი, ბუნჩულა ბიჭის როლი აქვს მორგებული. საჭიროების შემთხვევაში ისიც დაუწყებს პრეზიდენტს თითის ქნევას, მაგრამ ამ ეტაპზე სხვა როლი შეხვდა.

***— ეს როლი ვინ მისცა მას?***

— ვინ და ამ ყველაფრის დამდგმელმა რეჟისორმა, კოლბაში მყოფმა ივანიშვილმა. ამ რეჟისორმა ცუდი პოლიციელის როლზე ირაკლი კობახიძე დაამტკიცა. ისიც მზადაა, ყველას დაესხას თავს, ვინც ბრძენ კაცს გააღიზიანებს. ახლა მას ყველაზე მეტად გიორგი მარგველაშვილი აღიზიანებს. დიდი ალბათობით, მთავარი რეჟისორი მას ვეღარ აკონტროლებს და კობახიძეს დაავალა მასზე თავდასხმები.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრებიც იმ როლებს ასრულებენ, რომლებზეც ისინი ივანიშვილმა დაამტკიცა. ვისაც დაავალებს, რომ უფრო მაგრად უნდა იკაცოს, იკაცებს. ვისაც ეტყვის, ბუნჩულა უნდა იყოო, ბუნჩულა იქნება. საპარლამენტო უმრავლესობაში თავისი პოლიტიკური შეხედულებებით არავინ მოქმედებს.

***— პრეზიდენტზე შეტევა სადამდე გაგრძელდება და ან რა მიზანი აქვს ამას?***

— „ქართული ოცნების“ სურვილია, რომ პრეზიდენტი ხალხმა აღარ აირჩიოს. პრეზიდენტზე შეტევა ამისთვის ფონის მომზადებასაც ისახავს მიზნად. კობახიძემ უკვე თქვა, რომ შეიძლება უკვე 2018 წელს აირჩიოს პარლამენტმა პრეზიდენტი. ხელისუფლებამ ამაზე საზოგადოების რეაქცია შეამოწმა. თუ დაინახავენ, რომ ხალხს ეს არ აინტერესებს, აუცილებლად შეცვლიან პრეზიდენტის არჩევის წესს.

ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რომ პრეზიდენტიც იმ ერთი კაცის დაქვემდებარების ქვეშ იყოს. ასეთი კაცის მოძებნა პარლამენტში უფრო ადვილია. პარლამენტის არჩეული პრეზიდენტი იმდენს ვერ გაბედავს, რამდენსაც გიორგი მარგველაშვილი.

ჩვენ რომ ნორმალური და მართლაც დემოკრატიული ქვეყანა ვიყოთ, არ იქნებოდა ცუდი, თუ პრეზიდენტს პარლამენტი აირჩევდა. იმ სიტუაციაში, როცა ერთ პარტიას საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს, პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არჩევა პრობლემურია. ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს ასე ემუქრებიან და ხომ წარმოგიდგენიათ, რას უზამენ, ეს ადამიანი მათი არჩეული რომ იყოს. ახლა ამის დაშვება ქვეყანაში დიქტატურის დაკანონება იქნება.

***— დიქტატურის დაკანონება რატომ იქნება?***

— იმიტომ, რომ პოლიტიკური კონიუნქტურისგან თავისუფალი ახლა მხოლოდ გიორგი მარგველაშვილია. ის ხალხის მიერ რომ არ ყოფილიყო არჩეული, მას ოცჯერ მაინც მოხსნიდნენ. ბიძინა ივანიშვილი ყველანაირად ცდილობს, რომ ხელისუფლების ყველა შტო მის სათამაშო სივრცეში მოაქციოს. დიქტატურა მეტი კი არაფერია.

***— თქვენი აზრით, შეეგუება ხალხი პრეზიდენტის არჩევის უფლების ჩამორთმევას?***

— ამ ეტაპზე არასამთავრობოები მყარად დგანან იმ პოზიციაზე, რომ პრეზიდენტი ხალხის მიერ უნდა იყოს არჩეული. ამ რეალობაში პირდაპირი არჩევის წესის შენარჩუნება აუცილებელია. როგორც უკვე გითხარით, მარგველაშვილი ხალხის არჩეული რომ არ ყოფილიყო, აქამდე გადააყენებდნენ. იმ ბრძენ კაცს პოლიტიკური კონიუნქტურისგან თავისუფალი პრეზიდენტი არ სჭირდება. მას უნდა მონა-პრეზიდენტი, რომელიც მის ყველა ნება-სურვილს აასრულებს.

## პრეზიდენტმა „მოსმენების კანონს“ შესაძლოა ვეტო დაადოს

პრეზიდენტის მრჩეველი ფიქრია ჩიხრაძე ე.წ. მოსმენების კანონპროექტზე გიორგი მარგველაშვილის ვეტოს ელოდება. ჩიხრაძის თქმით, პრეზიდენტის უარყოფითი დამოკიდებულება აღნიშნულ კანონპროექტზე საზოგადოებისთვის ცნობილია:

— ამ საკითხს იმხელა ისტორია აქვს, რომ გარკვეული მოლოდინები აქვს საზოგადოებას, ცხადია, პრეზიდენტის უარყოფით პოზიციასთან დაკავშირებით.

ცხადია, საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს პრეზიდენტი, მაგრამ თქვენ იცით, რომ ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით გვქონდა ფართო კონსულტაციები, როგორც პოლიტიკურ სპექტრთან, ისე სამოქალაქო საზოგადოებასთან, ისე ბიზნესსექტორთან. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ის შენიშვნები, რომელიც თავის დროზე პრეზიდენტის ვეტოში იყო გამოხატული, მაგრამ ეს ვეტო იქნა დაძლეული, შემდგომ ის, დირექტივები და რეკომენდაციები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში იქნა ასახული, ვფიქრობთ, რომ არ არის ასახული დღევანდელ შემოთავაზებულ კანონპროექტში და აქედან გამომდინარე მეც საზოგადოების ნაწილთან ერთად მაქვს მოლოდინი, რომ შესაძლოა იყოს პრეზიდენტის ვეტო, — განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

პირველი რადიო

## ბოკუჩავა: „პარლამენტის თავმჯდომარე ემუქრება პრეზიდენტს“

— პარლამენტის თავმჯდომარე პირდაპირ ემუქრება პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, — აცხადებს ნაციონალური მოძრაობის წევრი თინა ბოკუჩავა. მისი თქმით, „ენმ“ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით პრეზიდენტთან დაგეგმილ შეხვედრას დაესწრება.

— პარლამენტის თავმჯდომარე პირდაპირ ემუქრება პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, თუ ის არ შეცვლის რიტორიკას, მაშინ უმრავლესობა პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის საკითხს გააუქმებს. ეს ძალიან საგანგაშოა, როდესაც უმრავლესობის წევრები პირდაპირ ემუქრებიან სახელმწიფო ინსტიტუტებს, თუ ისინი არ იქნებიან ივანიშვილისთვის მოსაწონი და მათი რიტორიკა არ შეესაბამება ივანიშვილის ნება-სურვილებს.

ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ ყველა ფორმატში, რომელიც ემსახურება სახელმწიფო ინსტიტუტების განმტკიცებას და ამ შემთხვევაში მონაწილეობას მივიღებთ პრეზიდენტ მარგველაშვილთან კონსულტაციებშიც, — განაცხადა თინა ბოკუჩავამ.

პირველი რადიო

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა კაციტაძე: „შეუძლებელია, ამ პარლამენტმა 2018 წელს პრეზიდენტი აირჩიოს“

ნათია ხურცილავა

„ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე **მამუკა კაციტაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრეზიდენტისა და უმრავლესობის ურთიერთობასა და საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.

***— ბატონო მამუკა, პრეზიდენტი საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით სახალხო განხილვის უზრუნველყოფის ინიციატივით გამოდის, თუმცა, ის კომისიის მუშაობაში არ იყო ჩართული. როგორია თქვენი შეფასება?***

— პრეზიდენტს ინიციატივა ჰქონდა, თუ როგორ მიეღო მონაწილეობა თავიდანვე კომისიის მუშაობაში, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ ამ დონეზე არ უნდა ჩარეულიყო. რეალურად პრეზიდენტს კომისიის წევრობა შესთავაზეს. მაინტერესებს, ვინმემ თუ იცის კომისია ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტი, შეიძლება, წევრი იყოს?!

***— რაზე აკეთებთ აქცენტს?***

— ეს იყო პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინება მმართველი პარტიის მხრიდან, თუმცა ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ პრეზიდენტი საერთოსახალხო განხილვებში აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა. ის პროცესის ტრანსპარანტულობაზე, ხალხის ჩართულობაზე საუბრობდა თავიდანვე.

დღეს პრეზიდენტი სწორედ ამას გვთავაზობს, რომ გავხსნათ დისკუსია საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, კანონპროექტის მომზადება ისევ რჩება პარლამენტის მიერ შექმნილ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას. რა თქმა უნდა, გადაწყვეტილების მიმღები ისევ რჩება მმართველი უმრავლესობა, მაგრამ პრეზიდენტი საუბრობს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ფართო კონსენსუსის შედეგი იყოს.

***— ამას ამბობენ უმრავლესობის წევრებიც.***

— მაშინ გაუგებარია, რატომ არ მოსწონთ პრეზიდენტის ინიციატივა, რომ მიიღოს ამ პროცესში მონაწილეობა. მეტიც, უზრუნველყოს მეტი ადამიანის ჩართულობა პროექტის განხილვაში. რას ნიშნავს, რომ ამით ხელს უშლის პრეზიდენტის კომისიის მუშაობას?! როგორ უშლის ხელს თუ მიზანი იგივეა?! მაგრამ მე მახსენდება უმრავლესობის წევრი დეპუტატის განცხადება, როდესაც ჟურნალისტებმა ჰკითხეს მედიაომბუდსმენის იდეის შესახებ. დეპუტატს ეგონა, იდეა პრეზიდენტს ეკუთვნოდა, ეს რა სისულელეაო. თუმცა, რომ გაარკვია, იდეა პრემიერს ეკუთვნოდა, იქვე მოიწონა. ვფიქრობ, სწორედ მსგავს სიტუაციასთან გვაქვს საქმე.

როდესაც ყველას და ყველაფერს აკონტროლებ ქვეყანაში, პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობას ფლობ, არ არის სწორი, რომ საფუძველშივე ჩაკლა და ჩაახშო ჯანსაღი იდეა. ეს არ გამოადგება ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. რა, ფლობს ხელისუფლება აბსოლუტურ ძალაუფლებას, მისთვისვე იქნება უკეთესი, რომ რაც შეიძლება მეტი ჩართულობა, მეტი დისკუსია, მეტი დიალოგი უზრუნველყოს. მე მივესალმები პრეზიდენტის ინიციატივას და ჩვენ მზად ვართ, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ჩავერთოთ პროცესში.

***— ჩვენ ვხედავთ პრეზიდენტის ინსტიტუტსა და პარლამენტს შორის მორიგ დაპირისპირებას. თუმცა, როგორ აფასებთ იმ გადაწყვეტილებას, რომ პრეზიდენტის არჩევნები 2018 წელს პირდაპირი წესით ჩატარდეს, რასაც კონსტიტუციონალისტთა ნაწილი ასევე პიროვნებისთვის მორგებულ გადაწყვეტილებად აფასებს?***

— ვერ გავიზიარებ შეხედულებას, რომ ეს გადაწყვეტილება პიროვნებაზე არის მორგებული. მე ამ წინადადებას აბსოლუტურად სხვაგვარად ვაფასებ: არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ 48 % მიიღო, მაგრამ მოქმედი მანკიერი საარჩევნო სისტემის გათვალისწინებით, მან პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა დააგროვა, მაგრამ მისთვის ასეთი ნდობა არავის გამოუცხადებია. ამ პარლამენტმა მიიკუთვნა ის უფლებამოსილება, რომლითაც ის ხალხს არ აურჩევია. ამდენად, ეს პარლამენტი ვერ აირჩევს პრეზიდენტს. 48 % მიღებული ერთი პარტია აპირებს 2018 წელს საქართველოს პრეზიდენტი აირჩიოს?! ვერ აირჩევს, ეს გამორიცხულია, ეს წარმოუდგენელია.



***— თქვენ ამბობთ, რომ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მხრიდან ეს არ იყო კეთილი ნება?***

— რა თქმა უნდა, ეს პარლამენტი 2016 წელს ამ უფლებამოსილებით არ აღუჭურვია ამომრჩეველს. მორალურად არ აქვს უფლება, რომ საქართველოს პრეზიდენტი აირჩიოს. ამდენად, მე არც კი განვიხილავ, რომ 2018 წელს, ამ პარლამენტმა გზაში მიისაკუთროს ის უფლებამოსილება, რაც მისთვის არავის მიუცია.

***— თქვენ ამბობთ, რომ ამიტომ გადაიდგა ეს ნაბიჯი?***

— ეს მე არ ვიცი. მე ერთი რაც ვიცი, არის ის, რომ პრეზიდენტის ირიბ არჩევნებს ვეწინააღმდეგები. ეს არც 2023 წელს მომეწონება, მაგრამ თუ ასეთი ცვლილება შევა კონსტიტუციაში, ვერაფერს ვიზამთ.

***— ბატონო მამუკა, საარჩევნო სისტემაზეც მინდა გკითხოთ. როგორც ვიცით, „ქართულ ოცნებაში“ პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია არ არის. მმართველი პარტია რამდენად წავა ამ ცვლილებაზე?***

— ეს დაპირისპირება რეალურად სპექტაკლს წარმოადგენს.

***— რატომ? ყველას უნდა არსებული სისტემის შენარჩუნება?***

— დიახ, როლები გაიყვეს „ქართულ ოცნებაში“ და თქვეს, სისტემა უნდა შევცვალოთ, რადგან ცივილიზებული მსოფლიო გვეუბნება, რომ საარჩევნო სისტემა არ გვივარგა. ამ რეკომენდაციების შესახებ ცნობილია, რომელსაც მმართველ ძალას საერთაშორისო ორგანიზაციები უგზავნიან. ამას იზიარებს ქვეყნის შიგნით მთელი პოლიტიკური სპექტრი და სამოქალაქო სექტორი. საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ხელისუფლება დარტყმის ქვეშ არის. მათ უნდათ, რომ მაჟორიტარული სისტემა პროპორციულით შეცვალონ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მიდიან ამ ნაბიჯზე და ამბობენ, რომ პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ აიღოს გაუნაწილებელი მანდატები.

ეს განაცხადა ბატონმა კობახიძემ საკონსტიტუციო კომისიაზე. 2016 წელს, არჩევნებზე გაუნაწილებელი მანდატები 20% იყო, 150 მანდატიდან 20% არის 30 მანდატი. ეს იცით რას ნიშნავს: პირველ ადგილზე გასული პარტია, მაგალითად, 40-45%-ს იღებს, რაც არ არის დამოუკიდებლად მთავრობის ჩამოსაყალიბებლად საკმარისი, ბიუჯეტის დასამტკიცებლად, ამდენად, ის იძულებული ხდება, რომ დაელაპარაკოს მეორე, მესამე ადგილზე გასულ პარტიებს, რაც მათ არ უნდათ და ამიტომ მოიგონეს, რომ გაუნაწილებელი მანდატები აიღოს პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ.

თუკი ისევ 30 მანდატის მისაკუთრება შეუძლია პირველ ადგილზე გასულ ძალას, მაშინ რა გამოდის?! ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის ხრიკი, ძალიან მარტივი ფანდი, რომლის მიხვედრასაც დიდი ჭკუა არ სჭირდება.

# მამა გიორგი მამალაძის ადვოკატები მისი ჩვენების გასაჯაროებას ითხოვენ

## მეუფე პეტრე: „ადამიანი ჯერ უნდა იყოს კაცი და მერე სასულიერო პირი“

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმის გარშემო ვნებათაღელვა 13 მარტიდან განახლდება. დაკავებული დეკანოზის, მამა გიორგი მამალაძის ადვოკატების განმარტებით, მათი დაცვის ქვეშ მყოფი პროკურატურისთვის ჩვენების მისაცემად მზად არის.

აღსანიშნავია, რომ მამა გიორგიმ პროკურატურის კითხვების ნაწილს უკვე გასცა პასუხი. მისი ადვოკატების თქმით, მიცემული ჩვენება 33-გვერდიანია.

8 მარტს მთავარმა პროკურატურამ გამოაქვეყნა მტკიცებულებათა ნაწილი. საუბარია ფარულ ვიდეო და აუდიო ჩანაწერებზე, სადაც დეკანოზი ციანიდზე, ვიღაცის მარილზე გაშვებაზე საუბრობს.

ადვოკატ გიორგი ფანცულაიას განმარტებით, ყველა ამ კითხვაზე დეკანოზს პასუხი უკვე გაცემული აქვს. დაცვის მხარე საგამოძიებო უწყებას მამა გიორგის ჩვენების გასაჯაროებისკენ მოუწოდებს.

— მამა გიორგი მამალაძემ როდესაც ჩვენება მისცა, კითხვა იყო დასმული, თუ ვის გულისხმობდა აუდიო ჩანაწერში, როდესაც ამბობდა, ტკბილეულს არ ჭამდა, რომელზეც პასუხი გაეცა. ასევე დაკითხვის დროს, შეკითხვა იყო დასმული, თუ ვისზე საუბრობდა ის მრავლობითში. მე მოვითხოვ, რომ ან გამოძიებამ გაასაჯაროოს მამა გიორგი მამალაძის 33-ფურცლიანი ჩვენება, ან მე მომცენ ამის უფლება, — განაცხადა ფანცულაიამ.

მეორე ადვოკატის მტკიცებით კი, ერთმა გარემოებამ შესაძლოა პროკურატურის ვერსია თავდაყირა დააყენოს.

— როდესაც ჩანაწერში გარკვეულ თანხებზე ელაპარაკება და იქ მიდის საუბარი — მე ეს თანხა არ გამაჩნია, ჯერ 10.000-ზეა საუბარი, მერე 5 000-ზე, მერე — 3000-ზე... იცით რა არის ყველაზე საინტერესო? მამა გიორგის რომ სდომებოდა, როგორც ირაკლი მამალაძე ეუბნება, ფულს თუ მომცემ ხელი-ხელში, იმ წუთასვე გადმოგეცემა ეს საწამლავიო.



მისი დაკავების დროს, როდესაც მამა გიორგი დააკავეს, მას ჰქონდა 4500 ევრო. შესაბამისად, თუ ასე სწრაფად და გერმანიაში წასაღებად უნდოდა და ქალბატონი შორენა თეთრუაშვილის და მაღალი იერარქიის სასულიერო პირების მოსაწამლად, ისმის კითხვა — ის „ჩვენ“ და „ისინი“ არ ეტყოდნენ, 4500 ევრო რომ წამოიღე — წამოგელო ნივთიერება და შევასრულებდით ამ მომზადებულ დანაშაულს?!

ამიტომ ვამბობ, ეს არის ძალიან აბსურდული დასაბუთება. როდესაც ჯერ კიდევ ავთენტურობა დაუდგენელ ჩანაწერში საუბარი მიდის — თანხა როგორც კი მექნება, მერე ვისაუბროთ ამ საკითხზეო. თანხა, ღმერთმა უწყის და დარწმუნებული ვარ, მამა გიორგის მანამდეც ჰქონდა, — თქვა მიხეილ რამიშვილმა რუსთავი 2-ის ეთერში.

ადვოკატებისგან განსხვავებით, პროკურატურას სრულ ნდობას უცხადებს საპატრიარქო. ამ საკითხზე სინოდის სხდომაზეც იყო საუბარი.

* * *

სინოდის სხდომაზე ციანიდის სკანდალთან დაკავშირებულ სკანდალზეც იმსჯელეს. საუბარია მეუფე პეტრეს მიერ გაკეთებულ სკანდალურ განცხადებებზე. ამ განცხადებების გამო ჭყონდიდელ მიტროპოლიტს მედიასთან საუბარი აუკრძალეს და ტელეკომპანია „ერთსულოვნების“ დირექტორობიდან გადააყენეს.

სინოდის გადაწყვეტილება არ მოეწონა „ერთსულოვნების“ თანამშრომლებს. მათ პატრიარქს მეუფე პეტრეს დაბრუნება სთხოვეს. საპატრიარქო შეუვალი აღმოჩნდა და გადაწყვეტილება არ შეცვალა. მეუფეს კი სთხოვეს, არ აღემართა ბარიკადები ტელევიზიაში.

ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ბარიკადების აღმართვას არ აპირებს, ის თანამშრომლებს ოფიციალურად დაემშვიდობა და თავის ეპარქიაში გაემგზავრა.

— მივდივარ საჭყონდიდლოში. ტელევიზიას ვაბარებ ღმერთს, — ამ სიტყვებით გამოეთხოვა ის თანამშრომლებს.

ტელევიზიის თანამშრომლებმა მეუფე ტაშით და სამახსოვრო ფოტოთი გააცილეს. ისინი მეუფე პეტრეს მიერ გაწეულ სამუშაოს დადებითად აფასებენ და კიდევ ერთხელ სთხოვენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ჭყონდიდელი მიტროპოლიტი თანამდებობაზე დააბრუნოს.

დაბრუნება, სავარაუდოდ, არ მოხდება. მეუფემ ტელევიზიიდან საკუთარი ნივთები უკვე წაიღო. წასვლამდე მან კიდევ ერთი განცხადება გააკეთა.

— ადამიანი ჯერ უნდა იყო კაცი და მერე სასულიერო პირი. თუ სასულიერო პირი გახდი, ეს არ ნიშნავს, რომ კარგი კაცი აღარ უნდა იყო. ყველა პროფესიის ადამიანი, რომელი პროფესიისაც უნდა იყოს, ეკონომისტი თუ ჟურნალისტი, ჯერ კაცი უნდა იყოს და შემდეგ იქნება პროფესიაში, — განაცხადა მეუფე პეტრემ.



საპატრიარქოში მისი შემცვლელის ძებნა 9 მარტსვე დაიწყეს. თავიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ თანამდებობას მამა გიორგი ანდრიაძე დაიკავებდა, რომელსაც ამ ეტაპზე „ქართული უნივერსიტეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა უკავია.

გიორგი ანდრიაძე მედიასთან საუბარში ამბობს, რომ საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ ხელმძღვანელობას არ აპირებს.

— არანაირი სურვილი არა მაქვს და არც საჭიროება არაა, იმიტომ, რომ ჩემს აწყობილ სტრუქტურებს მე უკან არ ვუბრუნდები ხოლმე, სრულიად საკმარისი იქნება იქ პატრიარქის ნებისმიერი ერთგული ადამიანის დანიშვნა. არც შეთავაზება არ არსებობს და არც ჩემგან ინიციატივა. ძველი მეპატრონეებისგან ტელევიზიების დაბრუნება ცალკე კომენტარების საგანია. საპატრიარქოში იციან, არანაირი სურვილი არა მაქვს და არც საჭიროება არაა, რომ მე იქ დავბრუნდე, — განაცხადა გიორგი ანდრიაძემ.

10 მარტს, საღამოს საპატრიარქომ უკვე გამოავლინა სათანადო კანდიდატურა და

ტელეკომპანია „ერთსულოვნების“ ხელმძღვანელის თანამდებობაზე ქაშუეთის ტაძრის წინამძღვარი, მამა მიქაელ ფოფხაძე დანიშნა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# რა ხდება ჯავახეთში, დუხობორების დასახლებაში

## რეპორტაჟი გორელოვკიდან

კვირა დღეს ტატიანა ოსლოპოვა 6 საათზე დგება. ჯერ საქონელს უნდა მიხედოს, მერე თავად მოწესრიგდეს და სახლიდან გასასვლელად მოემზადოს. სადღესასწაულო ტანსაცმლის ჩაცმას, ვარცხნილობისა და თავსაბურავის გაკეთებას ნახევარი საათი მაინც სჭირდება. მისი სახლიდან „ობლის სახლამდე“ დაახლოებით 15– 20 წუთის სავალია.

დილის 8 საათი ხდება. გორელოვკის ცენტრში ვაჩერებთ მანქანას. გარეთ ჯავახური ცივი ზამთარია. მთელი ღამის ნამგზავრები მანქანაშივე ცოტა დასვენებას და თვალის მოტყუებას ვაპირებთ, მაგრამ ჭრელქვედაბოლოიანი და თბილპლედმოფარებული ქალებიც მოდიან და „ობლის სახლში“ გვეპატიჟებიან. ზამთრობით ლოცვას 8 საათზე იწყებენ, ზაფხულში უფრო ადრე, მზის ამოსვლისთანავე.

ბევრნი არ არიან, 7 ქალია და 4 კაცი, მათ შორის ერთი ძალიან ახალგაზრდა. ეს არის და ეს. ჯერ თავის დაკვრით ესალმებიან ერთმანეთს, მერე სიმღერა-გალობასა და ფსალმუნების კითხვას იწყებენ.

ისინი დუხობორები – სულისთვის მებრძოლები არიან, ოდესღაც საკმაოდ დიდი თემისა და დიდი სოფლის, გორელოვკის მკვიდრნი. ახლა ცოტანიღა დარჩნენ, ამ სოფელში სულ 135-მდე კაცი.

– ლოცვაზე ყოველ კვირას დავდივართ. ადრე აქ ყველა სკამი დაკავებული იყო, დღეს ცოტანი ვიყავით. ხან უფრო ცოტაც ვართ, ხან, უფრო დღესასწაულებზე – გაცილებით მეტი.

მაინც მადლობა ღმერთს, რომ ყოველ კვირა დღეს ვატარებთ ლოცვას, თუ გამოვტოვებთ, მაშინ დასასრული მოახლოვდება, – გვეუბნება ტატიანა.



### დუხობორები საქართველოში

„ობლის სახლი“ ერთ-ერთი პირველი იყო, რაც ჯავახეთში ჩასახლებულმა დუხობორებმა ააშენეს. გზაში, სანამ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჯავახეთში ჩამოვიდნენ, ბევრი დაიღუპა. გარდაცვლილთა მოხუც მშობლებსა და დაობლებულ შვილებს პატრონობა ხომ უნდოდათ? ამ სახლში ცხოვრობდნენ სწორედ მოხუცები და ობლები, რომელთაც თემი მეურვეობდა. ახლა აქ ობლები აღარ არიან, თუმცა ეს ადგილი გამორჩეულ ადგილად, ფაქტობრივად, თემის მუზეუმად ითვლება. უმეტესად აქვე ტარდება კვირაობით შეკრება და ლოცვა.

დუხობორობა ერთ-ერთი პირველი მიმდინარეობა იყო, რომელიც მართლმადიდებლობას გამოეყო. მართლმადიდებლური სალვთისმეტყველო ენციკლოპედიის მიხედვით, ეს მოხდა 1740-50 წლებში რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, კერძოდ ხარკოვის გუბერნიაში. მიმდინარეობის მამათავარი ჯერ პრუსიელი უნტერ-ოფიცერი, შემდეგ კი კაზაკი სილუან კალესნიკოვი იყო.

დუხობორები ანუ სულისთვის მებრძოლები სულის გადარჩენისთვის იბრძვიან. მათი აზრით, კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარეობს ბრძოლა სულიერსა და ხორციელს შორის. პირველს მიეკუთვნებიან აბელის, ხოლო მეორეს – კაენის მიმდევრები. დუხობორები კაენის შთამომავლებად მიიჩნევენ ხელისუფლების წარმომადგენლებს, უსამართლო მსაჯულებს, მდიდრებს. ლიტერატურის მიხედვით, დუხობორებს საკუთარი თავი მიაჩნიათ ჭეშმარიტ და რჩეულ ხალხად, რომელმაც უნდა შექმნას ღვთის სამართლით განმსჭვალული ძმობა. დუხობორები არ ცნობენ წეს-ჩვეულებებს, გარდა ქორწინებისა. ისინი არც „ბიბლიას“ აღიარებენ. მეოცე საუკუნის დასაწყისში თავიანთი მოძღვრება ჩაწერეს და „ცხოვრების წიგნი“ უწოდეს.

დუხობორების აზრით, მათსა და ღმერთს შორის შუამავალი არ არის საჭირო, არ სჭირდებათ მოძღვრები. არ ატარებენ ჯვარს, არ ცნობენ ხატებს.

ისინი რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში ცხოვრობდნენ და ახლაც ცხოვრობენ.

– ჩვენი წინაპრები საქართველოში, უფრო სწორად, მაშინდელი თბილისის გუბერნიის ახალქალაქის მაზრაში („უეზდში“) 1841 წელს ალექსანდრე პირველის ბრძანებით ჩამოასახლეს ჩრდილოეთ კავკასიიდან, მოლოჩნი ვოდებიდან. თემის ლიდერი ილარიონ ვასილის ძე კალმიკოვი იყო, რომელიც იმ პერიოდისთვის სულ 26 წლის იყო. პირველი ნაკადის დუხობორებმა ააშენეს ობლის სახლი, დადგეს კარვები, დაიწყეს მიწის დამუშავება და შექმნეს კომუნები, – გვიამბობს ვასილი სლასტუხინი.

იმ პირველი დუხობორების საფლავები ე.წ. „მაგილკები“ წმინდა ადგილად მიაჩნიათ დუხობორებს. ზაფხულში ხშირად სწორედ იქ ლოცულობენ. ამ საფლავების სანახავად სხვა ქვეყნებიდანაც ჩამოდიან.

მახსოვს თემის ისტორიას წლების წინ მასწავლებელი და თემის აქტივისტი ლუბა დემინოვა მიყვებოდა (სამწუხაროდ, ლუბაც რამდენიმე წლის წინ წავიდა საქართველოდან): დუხობორები არ ცნობენ იარაღს, ცდილობენ, არ წავიდნენ სამხედრო სამსახურში. 1895 წლის 29 ივნისს დუხობორებმა ბოროტებისა და ძალადობისადმი პროტესტი ისე გამოხატეს, რომ სოფლის ახლოს ერთ-ერთ გამოქვაბულში (ეს ადგილიც წმინდა ადგილად ითვლება) 2000-მდე მამაკაცმა იარაღი დაწვა. თუმცა ეს ფაქტი მაშინდელმა ხელისუფლებამ სახელმწიფოსადმი პროტესტად აღიქვა. მეფისნაცვალმა ვორონცოვმა (რომლის სახელიც არალეგალურად დღემდე შემორჩა თბილისის ერთ-ერთ მოედანს) კაზაკთა რაზმი მიავლინა ჯავახეთში. მამაკაცები გაშოლტეს, ნაწილი კი გააციმბირეს.

იმ პერიოდში, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს საქართველოდანაც წავიდა კანადაში დუხობორთა პირველი ნაკადი.

მეოცე საუკუნეში, საბჭოთა პერიოდში დუხობორები ბოგდანოვკის (დღევანდელი ნინოწმინდა) რაიონსა და მიმდებარე სოფლებში ცხოვრობდნენ. ბოგდანოვკა ერთ-ერთი პირველი დასახლებული პუნქტი იყო, რომელიც მათ დააარსეს საქართველოში. სახელიც რუსეთში არსებული დასახლების მიხედვით უწოდეს. თემის ცენტრი კი უდავოდ გორელოვკა იყო.

საქართველოში ჩამოსახლებულ დუხობორებს შეღავათები დაუწესეს: არ ახდევინებდნენ გადასახადებს, არ იწვევდნენ სამხედრო სამსახურში, მათ ჰქონდათ რელიგიური თავისუფლება.

– რამდენი ვიყავით? ზუსტად თქმა გამიჭირდება, მხოლოდ გორელოვკაში 2000-ზე მეტი კაცი იყო.

გორელოვკა, სპასოვკა, ორლოვკა, ეფრემოვკა, ტროიცკა, ტამბოვკა, რადიონოვკა – 7 სოფელი იყო დუხობორებით დასახლებული და კიდევ თავად ბოგდანოვკა (დღევანდელი ნინოწმინდა) – „ბევრი ხალხი ვიყავით. 10-12 ათას კაცზე მეტი“, – გვეუბნება ვასილი სლასტუხინი. ის 62 წლისაა. გორელოვკაში დაიბადა და გაიზარდა, მერე ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოგზაურობდა, ხან სად იცხოვრა, ხან – სად. მშობლები რომ მოხუცდნენ, დაბრუნდა. მამა – მიხეილ სლასტუხინი, რომელიც „ობლის სახლს“ პატრონობდა, ცოტა ხნის წინ გარდაეცვალა, დედა – 93 წლისაა.

### რას საქმიანობდნენ დუხობორები?

– ძირითადად მესაქონლეობას მივდევდით. აქ ალპური საძოვრებია. ძალიან კარგ ყველს აკეთებდნენ. ახლა სადღაა ისეთი ყველი. დღეს აბსოლუტურად განსხვავებულად აკეთებენ, რაღაცას ამატებენ, რაღაცას აკლებენ და ცხადია, ისეთი არ გამოდის, – გვიამბობს ვასილი.

საბჭოთა პერიოდში გორელოვკაში ცნობილი კოლმეურნეობა იყო.

– ადრე კარგად ვცხოვრობდით. რატომ? სამუშაო გვქონდა, ბევრი ვიყავით და საქმეც ბევრი იყო, სიმღერ-სიმღერით, ხალისით და მხიარულად ვმუშაობდით. კოლმეურნეობა გვქონდა, დიდი, ლენინის სახელობის. საქონელი გვყავდა. ფერმაშიც ვმუშაობდით, ზაფხულში მინდორში თივას ვაგროვებდით, ზამთარში თოვლისგან ვწმენდით გზებსა და სახლებს. მექანიზაციის ცენტრიც არსებობდა, სამშენებლო ორგანიზაციაც იყო, სადაც ძირითადად კაცები მუშაობდნენ, – იგონებს ტატიანა ოსლოპოვა. თავისუფალ დროს გუნდში მღეროდნენ და სხვადასხვა რაიონში კონცერტებს მართავდნენ.

90-იანი წლებიდან წავიდა დუხობორთა უმეტესობა.

– საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, პრეზიდენტი გამსახურდია ამბობდა, საქართველო მხოლოდ ქართველებისთვის უნდა იყოსო. მას რუსები არ უყვარდა, თუმცა ამბობდა, დუხობორების წინააღმდეგი არ ვარო. საქართველოში დამკვიდრების 150 წლისთავს რომ აღვნიშნავდით, ვერტმფრენიც გამოგვიგზავნა დაცვით, რომ არაფერი მოხდარიყო...

მერე ცხოვრებაც გაჭირდა, სამუშაო აღარ იყო. აიყარნენ ჩვენები და წავიდნენ: რუსეთში, უკრაინაში, ვინ – სად. ბევრი ნათესავი გვყავს რუსეთში: ერთი ძმა კომშია, მეორე – სტავროპოლში, დედა – ნოვოროსიისკში, შვილი – მოსკოვში, მაგრამ მათთან თავისუფლად ვერ მივდივართ. თუ მოწვევა არ იქნა, არ გვიშვებენ.

ახლა რთულია ცხოვრება. ცოტა დავრჩით. მოწყენილობაა. ძირითადად სახლში ვართ, საქონელს ვუვლით. ასე გადის დრო, – ჰყვება ტატიანა.

დღეს ის განსაკუთრებით გახარებულია, რადგან ლოცვას ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად, რომლებიც აქვე სახლობენ, მისი ვაჟიც ესწრება. ის მოსკოვში ცხოვრობს. ექსკავატორზე მუშაობს და წელიწადში ერთ-ორჯერ მაინც ახერხებს მშობლების მონახულებას. ახლაც ცოლთან და შვილთან ერთად სამი დღით ჩამოვიდა. ერევნიდან წამოსვლა უფრო იოლია და იაფიც ჯდება.

– კარგი ქმარი და შვილები მყავს: ქალი და ვაჟი. 5 შვილიშვილი მყავს, უკვე შვილთაშვილიც. ვაჟი მოსკოვში ცხოვრობს და ახლა ჩამოსულია ცოლ-შვილით. ქალიშვილი აქვე ცხოვრობს. მისი ერთი შვილიც ოჯახით მოსკოვშია, იქ დაოჯახდა. დუხობორები ცდილობენ დუხობორებზე იქორწინონ, მაგრამ ახლა აქ გოგოებიც აღარ არიან, ბიჭებმა ოჯახი რომ შექმნან. წასულები ხშირად დუხობორებს ვეღარ პოულობენ. ჩემი რძალიც არ არის დუხობორი, – გვეუბნება ტატიანა.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი ქალიშვილთან სტუმრობისთვის ემზადება, ტატიანა მაინც გვიწყობს სუფრას. დუხობორული ტრადიციით, პური და მარილი აუცილებლად უნდა დაახვედრო სტუმარს. ღუმელში გამომცხვარი გემრიელი პური, წნული ყველი, სალათები, მწნილი, ნამცხვარი – ასეთია ჩვენი სუფრა. ღვინოც აქვთ, ერთმა ქართველმა მეგობარმა გამოგვიგზავნაო. ოჯახს ვლოცავთ და კიდევ რამდენიმე სადღეგრძელოს ვამბობთ. თამადა ტატიანას მეუღლეა.

მანამდე ლოცვაზე მყოფ ერთ მასწავლებელთანაც ვსაუბრობთ. რაისა ასტაფოროვა გორელოვკის რუსულ საჯარო სკოლაში ბიოლოგიას ასწავლის.

– სკოლა მცირერიცხოვანია, მაგრამ შემიძლია თამამად ვთქვა, რომ კარგად ვართ აღჭურვილი, გვაქვს კომპიუტერები, მოსწავლეებს ნოუთბუქებსაც აძლევენ. რემონტიც გაკეთდა. ამ მხრივ ვერ დავიჩივლებთ.

სკოლა საშუალოა, თუმცა სულ 35 მოსწავლე გვყავს. ყველა კლასია, თითო 2-3 მოსწავლით, ადრე 30-35 კაციანი თითო კლასი გვყავდა, იყო პარალელური კლასებიც. ორ ცვლად ვმეცადინეობდით და 500-600 მოსწავლე მაინც იყო სკოლაში, – ამბობს რაისა ასტაფოროვა. მისი განმარტებით, სკოლაში სპეციალისტების დეფიციტი არა, მაგრამ საათების დეფიციტია. მასწავლებლებიდან ყველა სპეციალისტია, უმეტესობას 20-25-30 წლიანი სტაჟი აქვს და ალაგ-ალაგ არიან მხოლოდ ახალგაზრდები.

– ადრე სოფელში მხოლოდ რუსული სკოლა იყო, რადგან ცხოვრებითაც მხოლოდ რუსები ვცხოვრობდით, რამდენიმე ოჯახი იყო მხოლოდ სომხური, მაგრამ საბჭოთა პერიოდში ისინიც რუსულ სკოლაში დადიოდნენ.

ახლა ამ სოფელში მეორე სკოლაც არის: 40-მდე მოსწავლე ქართულ სექტორზეა, 100-მდე სომხურ სექტორზე.

რაიონში კი სულ სამი რუსული სკოლაა: ერთი ჩვენთან, ერთი ტამბოვკაში და ერთიც, ყველაზე მრავალრიცხოვანი – ბოგდანოვკაში (ნინოწმინდაში), 400 მოსწავლით, გვიყვება რაისა.

რამდენად ახერხებენ თვითრეალიზაციას სკოლის კურსდამთავრებულები? ზოგი აღარც აგრძელებს სწავლას, ზოგი – მიდის.

– ჩემი შვილიშვილი, ქალიშვილის შვილი, რომელმაც ჩვენი სკოლა დაამთავრა, გუმრიში სწავლობს. საქართველოში რუსული ფაკულტეტები აღარც არის, ან ჩვენ ბავშვებს ეროვნულ გამოცდებზე ქართულის ჩაბარება უჭირთ. ამიტომ ახალგაზრდები სომხეთში მიდიან სასწავლებლად, – გვეუბნება ტატიანა ოსლოპოვა.

### ბევრი წავიდა. თქვენ რა გაჩერებთ აქ?

– დედაჩემი აქ არის, ჩემი ოჯახიც. ცოტა ჭირს, მაგრამ ახლა დამშვიდდა სიტუაცია და როგორც ვცხოვრობდით, ისე ვცხოვრობთ, – ამბობს ვასილი.

– გორელოვკა და საქართველო ჩვენი სამშობლოა და წასვლას არ ვაპირებთ არსად. ალბათ ბედისწერაა ასეთი. არ გვინდოდა და არც გვინდა წინაპრების საფლავების მიტოვება. რაღაც ძალამ დაგვტოვა. რასაც ღმერთი მოგცემს, ის უნდა აკეთო... მომავალში არავინ იცის, როგორ აეწყობა ჩვენი ცხოვრება, რაც ღმერთს ენდომება, ისე იქნება, – ამბობს ტატიანა.

**მთის ამბები**

# მიხეილ ჯანელიძე: „უვიზო მიმოსვლის წესების დამრღვევებთან მიმართებაში საქართველო იქნება შეურიგებელი“

– უვიზო მიმოსვლის წესების დამრღვევებთან მიმართებაში საქართველო იქნება შეურიგებელი, – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის საკითხებზე გამართულ შეხვედრაზე.

– ჩვენ ვხედავთ პრობლემებს ძირითადად იმ კუთხით, რომ ჩვენი მოქალაქეები ევროკავშირში თავშესაფარს ითხოვენ. ხშირ შემთხვევაში, ეს მოთხოვნა არის უსაფუძვლო და არანაირი პოლიტიკური დევნა ან დისკრიმინაცია ამ მოქალაქის არ ხდება. ევროკავშირის რამდენიმე სახელმწიფომ უკვე შეგვიყვანა უსაფრთხო ქვეყნების ნუსხაში, რაც გულისხმობს, რომ თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ აპლიკაციის განხილვა გამარტივებული რეჟიმით მოხდება. თუმცა ჯერ კიდევ არსებობს ქვეყნები, რომლებიც განიხილავენ თავშესაფრის მოთხოვნებს, ამ მოთხოვნის განხილვას კი სჭირდება თვეები, რითაც სარგებლობენ მოქალაქეები. ეს გარკვეული რისკის მატარებელია, მაგრამ ჩვენ გაცხადებული გვაქვს ევროსტრუქტურებისთვის, მზად ვართ, ნებისმიერი მექანიზმი გამოვიყენოთ იმისათვის, რომ დარღვევის შემთხვევაში საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ჩვენი მოქალაქის რეადმისია.

ჩვენ დავაკვირდებით პროცესს და, შესაბამისად, განვაცხადებთ დამატებითი ზომების შესახებაც, თუ ამის საჭიროება იქნება. დამრღვევებთან მიმართებაში საქართველოს მხარე იქნება ძალიან შეურიგებელი და ამასთანავე ყველაფერი გაკეთდება, რომ ევროპულმა მხარემ იგრძნოს ჩვენი პასუხისმგებლობით გამსჭვალული მიდგომა და ერთი ან ორი რომელიმე მოქალაქის მიერ დარღვევამ არ უზრუნველყოს ამ დიდი სიკეთის შეჩერება სხვა მოქალაქეებისთვის, – განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

**პირველი რადიო**

# კონსტიტუცია არ უნდა იწერებოდეს კაბინეტებში

საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შეხვედრა მიმდინარეობს. შეხვედრის მონაწილეებს პრეზიდენტმა ვრცელი სიტყვით მიმართა.

გიორგი მარგველაშვილმა კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებზე ისაუბრა და ასევე ისაუბრა პრეზიდენტის არჩევის წესზე.– როგორ უნდა გახდეს საკონსტიტუციო პროცესი ჩვენი გაძლიერების მიზეზი და მიზანი, მაგრამ არა ისე, როგორც აქამდე ეს ხდებოდა, როცა დახურულ კაბინეტებში იწერებოდა დოკუმენტი, კონსტიტუციის გადასინჯვის ჩვენი საზოგადოების გამთლიანების წინაპირობა გახდეს, ყველა უნდა ვმონაწილეობდეთ ამ პროცესში. კონსტიტუცია ყველას გვაერთიანებს... მას ხელს ქართველი მოსახლეობა უნდა აწერდეს... ჩვენ ვიწყებთ პროცესს – კონსტიტუცია ყველასია, რომლის მიზანია ყველა ჯგუფს მივცეთ შესაძლებლობა, გამოხატოს პოზიცია ამ უმნიშვნელოვანესი თანხმობის დოკუმენტში, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

**პირველი რადიო**

# 12 მარტს ანექსირებულ აფხაზეთში საპარლამენტო არჩევნები ტარდება

## ანქვაბს საარჩევნოდ 1992 წლის მოვლენები გაუხსენეს

**მარიამ მჭედლიშვილი**

12 მარტს ოკუპირებულ აფხაზეთში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში 35 მანდატისათვის 138 კანდიდატი იბრძვის.

თავდაპირველად საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის მსურველი უფრო მეტი იყო. ზოგიერთმა კანდიდატმა საკუთარი ნებით თქვა უარი არჩევნებში მონაწილეობაზე. მათ შორის ორი სოხუმის მეორე საარჩევნო ოლქში იყრიდა კენჭს. ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატია აფხაზეთის ყოფილი პრეზიდენტი და პრემიერი ალექსანდრე ანქვაბი. მისი დაბრუნება და საარჩევნო პროცესებში ჩართვა ამ არჩევნების მთავარი თემაა. მას თხოვნით მიმართეს ოპოზიციამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მიეღო მონაწილეობა არჩევნებში.

ფაქტობრივ პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბასთან დაპირისპირებულ ანქვაბს წინასაარჩევნოდ მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ. აფხაზეთის ომის ვეტერანების ნაწილმა მისი პოლიტიკაში დაბრუნება გააპროტესტა. ვეტერანებმა განაცხადეს, რომ ანქვაბი დაარღვევს იმ სტაბილურობას, რომელსაც ხელისუფლებამ და ოპოზიციამ დეკემბერში მოლაპარაკებებით მიაღწიეს. ცოტა ხანში ამავე ხალხმა ანქვაბს 1992 წლის ომისწინა მოვლენები გაუხსენა. მათ მიაჩნიათ, რომ პროკურატურამ უნდა განაახლოს 1992 წლის 18 აგვისტოს მომხდარი ფაქტის გამოძიება. მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, ანქვაბმა, რომელიც მაშინ აფხაზეთის შს მინისტრი იყო, სამინისტროში შენახული იარაღი ქართულ მხარეს გადასცა.




ანქვაბის საწინააღმდეგო კამპანიას უპასუხოდ არ ტოვებდნენ მისი მომხრეები. ომში დაღუპულმა დედებმა ამ მიზნით მიმართეს რაულ ხაჯიმბას. მათი აზრით, ანქვაბი იდევნება, რაც დაუშვებელი და უკანონოა.

— ნუ ცდილობთ პანდორას ყუთის გახსნას, — მოუწოდა მოწინააღმდეგეებს თავად ანქვაბმა.

მან უარი თქვა სატელევიზიო დებატებში მონაწილეობაზე და განაცხადა, რომ 2014 წლის მოვლენების გახსენებას უადგილოდ მიიჩნევს.

ამ მოვლენებს აფხაზეთში ბევრი სახელმწიფო გადატრიალებად აფასებს. ანქვაბის მოწინააღმდეგეები კი აცხადებენ, რომ მაშინდელმა პრეზიდენტმა ანქვაბმა მომიტინგეები მიატოვა.

ეს არჩევნები ბოლო მაჟორიტარული არჩევნები იქნება აფხაზეთში. სამომავლოდ დაგეგმილია შერეული, პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემის შემოღება. აფხაზეთის პარლამენტმა შესაბამისი კანონპროექტი ორი მოსმენით მიიღო.

კანდიდატები ძირითადად საინიციატივო ჯგუფებმა წარადგინეს. კანდიდატები დაასახელეს პარტიებმაც. კერძოდ, ამცახარამ, აინარმა, ეროვნულმა ფრონტმა სამართლიანობისა და განვითარებისათვის და აფხაზეთის ერთიანობის სახალხო ფორუმმა.

ოლქების ნახევარში მოსალოდნელია მეორე ტურის ჩატარება. ექსპერტები მოელიან, რომ მომავალი პარლამენტი ჭრელი იქნება.

როგორც ჩანს, კანდიდატების სიჭრელე მიუღებლად მიიჩნია აფხაზეთის საზოგადოების მრავალრიცხოვანმა ნაწილმა. ამ ადამიანებმა მიმართეს მოქმედ პარლამენტს, გააუქმოს დეპუტატებისთვის დაწესებული ყველა შეღავათი, იმუნიტეტითა და მაღალი ხელფასით დაწყებული, სამსახურებრივი ავტომანქანებით დამთავრებული. მათი აზრით, დეპუტატობა ბევრმა უღირსმა და პოლიტიკისაგან შორს მდგომმა პირმა მოინდომა. მათ პარლამენტში პრივილეგიები იზიდავთ. საზოგადოების მოწოდება არავის განუხილავს.

პარლამენტში შემთხვევითი ადამიანების მოხვედრას პროგნოზირებენ აფხაზი ჟურნალისტები. მათი აზრით, უცნობმა კანდიდატმა, რომელსაც საარჩევნო ოლქში ნათესავები ჰყავს, შეუძლია, ცნობილ პოლიტიკოსს აჯობოს.

# გიორგი კანაშვილი: „ანქვაბი პოლიტიკაში უკვე დაბრუნდა“

## არძინბას გარდაცვალების შემდეგ მის ოჯახს არ დაუკარგავს პოლიტიკაზე ზემოქმედების ბერკეტები და ხაჯიმბა ამ კლანის ნაწილია

აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე „ინტერპრესნიუსი“ კავკასიური სახლის დირექტორს, პოლიტოლოგ **გიორგი კანაშვილს** ესაუბრა.



***— ბატონო გიორგი, 12 მარტს აფხაზეთში თვითგამოცხადებული აფხაზეთის სახალხო კრების — პარლამენტის მე-6 მოწვევის არჩევნები ჩატარდება. თქვენი დაკვირვებით, არჩევნების წინ როგორია აფხაზეთში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება?***

— სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აფხაზეთში საკმაოდ რთულია. რუსეთის ფინანსური მხარდაჭერა რომ არა, მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე იქნებოდა. მაშინ როდესაც რაულ ხაჯიმბა ოპოზიციაში იყო, იგი ხელისუფლებას ძირითადად ამ კუთხით აკრიტიკებდა. ხაჯიმბა ჰპირდებოდა მოსახლეობას, რომ იგი უკომპრომისო იქნებოდა კორუფციასთან და კრიმინალთან მიმართებაში მისი წარსულიდან გამომდინარე. ხაჯიმბას საკმაოდ მკაცრი და პრინციპული კაცის ხასიათი აქვს, შესაბამისად, ბევრმა მართლა დაიჯერა, რომ იგი იყო ის პიროვნება, რომელიც დასახულ ამოცანებს თავს გაართმევდა. თუმცა, გავიდა წლები და სიტუაცია პრინციპულად არ შეცვლილა.

ამასთანავე, იგი ანქვაბს ადანაშაულებდა, რომ რუსული ფული იხარჯებოდა მხოლოდ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რაც აფხაზურ ეკონომიკას დიდად ვერ აძლიერებდა, რომ საჭირო იყო ახალი ეკონომიკური პოლიტიკა. ამ მიმართულებითაც რამე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. ზუსტად ხსენებულმა მდგომარეობამ გამოიწვია რიგი საპროტესტო აქციები და პოლიტიკური სიტუაცია აფხაზეთში ბოლო ხანია სულ უფრო იძაბებოდა. საქმე, როგორც გახსოვთ, ძალისმიერ დაპირისპირებამდეც მივიდა. მაშინ ბევრი თვლიდა, რომ ხაჯიმბა საპარლამენტო არჩევნებამდე ვერ მიაღწევდა.

თუმცა, 2016 წლის შემოდგომის მიწურულს, დეკემბრის დასაწყისში, ხელისუფლება ოპოზიციასთან დათმობებზე წავიდა, რიგ თანამდებობებზე ოპოზიციის მიერ წარდგენილი კადრები დაინიშნა, ამან დაძაბულობა მნიშვნელოვნად დასწია.

წინასაარჩევნო კამპანიამ საკმაოდ მშვიდ პირობებში განვლო, კანდიდატები ხვდებოდნენ პოტენციურ ამომრჩევლებს, აგებდნენ ასფალტს, ამონტაჟებდნენ განათებებს და მოსახლეობის მიმხრობის სხვა არანაკლებ დამაჯერებელ ხერხებს მიმართავდნენ.

შესაბამისად, თუ უშუალოდ არჩევნების დღეს რამე განსაკუთრებული დარღვევები არ დაფიქსირდა, სავარაუდოდ, მხარეები შედეგების გაპროტესტებასა და სიტუაციის ესკალაციაზე არ წავლენ. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში აფხაზური პოლიტიკა სულ უფრო ძალადობრივი გახდა, შესაბამისად, ვერც ერთ სცენარს ვერ გამოვრიცხავთ.

***— თქვენი შეფასებით, რა შეიძლება ითქვას არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების გეგმებზე? რეალურად ვის ინტერესებს ახმოვანებენ ისინი? სავარაუდოდ, როგორია არჩევნების წინ მათ შორის ძალთა ბალანსი და მათივე პოლიტიკური და ფინანსური რესურსები?***

— ტრადიციულად, აფხაზეთში ორი დიდი კლანი უპირისპირდებოდა ხოლმე ერთმანეთს. პირობითად ეს იყო არძინბას გარშემო შემოკრებილი დაჯგუფება და ყველა სხვა. არძინბას გარდაცვალების შემდეგ მის ოჯახს არ დაუკარგავს პოლიტიკაზე ზემოქმედების ბერკეტები და ხაჯიმბა ამ კლანის ნაწილია. მისი ალტერნატივაა ანქვაბი, რომელიც პირობითად მეორე დიდი დაჯგუფების ლიდერს წარმოადგენს. ამ ორს შორის ბალანსი საკმაოდ მყიფეა და აგერ უკვე ოც წელზე მეტია, რაც ხელისუფლებაში ისინი ცვლიან ერთმანეთს.

არძინბას გარდაცვალების შემდეგ მის ოჯახს არ დაუკარგავს პოლიტიკაზე ზემოქმედების ბერკეტები და ხაჯიმბა ამ კლანის ნაწილია. მისი ალტერნატივაა ანქვაბი, რომელიც პირობითად მეორე დიდი დაჯგუფების ლიდერს წარმოადგენს. ამ ორს შორის ბალანსი საკმაოდ მყიფეა და აგერ უკვე ოც წელზე მეტია, რაც ხელისუფლებაში ისინი ცვლიან ერთმანეთს

თუმცა, დრო გადის და გამოჩნდნენ ახალი თაობის პოლიტიკოსები, რომლებიც ამ ეტაპზე არც ერთ ამ ერთობას არ მიეკუთვნებიან. ე.წ. „აინარის“ დაჯგუფება ზუსტად ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელიც მესამე ძალად ყალიბდება. ეს არის შედარებით ახალგაზრდა ადამიანებისგან დაკომპლექტებული პოლიტიკური პოლუსი, რომელიც საკმაოდ ანტაგონისტურად არის განწყობილი რუსეთთან მიმართებაში და უფრო მკაცრი პოზიციები აქვს რიგ საკითხებთან მიმართებაში. მათ შორის საკუთრების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდვასთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი პოლიტიკური წონით იგი მესამეა აფხაზეთში.

მეოთხედ შეგვიძლია გამოვყოთ, ყოფილ ე.წ. საგარეო მინისტრთან სერგეი შამბასთან დაკავშირებული ჯგუფი. ბატონ შამბას, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგი ურთიერთობები აქვს ბატონ სურკოვთან და ამჟამად აფხაზეთში რუსეთის ინტერესების ერთ-ერთ ყველაზე აშკარა გამტარებლად მიიჩნევა. იგი თვითონაც იყრის კენჭს და გამარჯვების შანსებიც აქვს. თუმცა, მას საკმაოდ ძლიერი ოპონენტი ჰყავს ნაირა ამალიას სახით, რომელიც, აფხაზეთში კარგად ცნობილი აქტივისტია.

ამ ოთხ პოლიტიკურ ჯგუფს შორის ნაკლებია დისკუსია მემარჯვენე თუ მემარცხენე იდეოლოგიაზე, ეკონომიკური განვითარების მოდელებზე, თუ სხვა კონცეპტუალურ საკითხებზე. ძირითადი დისკუსიები მაინც მიმართულია იმ ყოფით პრობლემებზე, რაც წლებია აფხაზეთში ვერ წყდება, ესენია: კორუფცია, კრიმინალი, დაბალი ხელფასები და სხვა ამ რიგის საკითხები.

***— რაში მდგომარეობს აფხაზეთში 2017 წლის 12 მარტისათვის დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების მთავარი ინტრიგა?***

— ამ არჩევნების მთავარი ინტრიგა ალბათ მაინც ისაა, შეძლებს თუ არა არსებული ხელისუფლება პარლამენტში ადგილების უმრავლესობის მოპოვებას. ალბათ, ამაზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული საპრეზიდენტო არჩევნების ბედი.

***— იღებს თუ არა ექსპრეზიდენტი ანქვაბი არჩევნებში მონაწილეობას და რა შანსები აქვს მას კვლავ დაბრუნდეს აფხაზურ პოლიტიკაში?***

— შეგვიძლია ვთქვათ, ანქვაბი პოლიტიკაში უკვე დაბრუნდა. იგი, როგორც უკვე აღვნიშნე, ერთ-ერთი დაჯგუფების ლიდერია. სავარაუდოდ, მისი განდევნის შემდგომ, ამ დაჯგუფებამ კონსოლიდირება ვერ მოახერხა, არ გამოიკვეთა იმგვარი ლიდერი, რომელიც შეძლებდა ანქვაბის ჩანაცვლებას. ზუსტად ამის გამო გახდა აუცილებელი, მისი მოსკოვიდან დაბრუნება.

იგი კენჭს მშობლიურ გუდაუთაში იყრის და დიდი ალბათობით პირველივე ტურში გაიმარჯვებს. ყოველ შემთხვევაში, მოვლენათა ამგვარ განვითარებას ქადაგებს აფხაზ ანალიტიკოსთა სრული უმრავლესობა.

***— თქვენი დაკვირვებით, რა როლს ასრულებენ აფხაზეთის სომხები დღევანდელი აფხაზეთის ცხოვრებაში?***

— დღეს პარლამენტში ეროვნებით სამი სომეხი დეპუტატია. ზოგადად არსებობდა დაუწერელი შეთანხმება, ეთნიკური კვოტების შესახებ, რომლის მიხედვითაც პარლამენტში უნდა ყოფილიყო ორი ან სამი სომეხი, ორი ქართველი, ერთი რუსი და ერთიც სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი. თუმცა, ბოლო პარლამენტში მხოლოდ სამი სომეხია. სავარაუდოდ, მომავალშიც ჩვენ ვიხილავთ აფხაზების სრულ დომინაციას, როგორც საპარლამენტო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე, რაც მრავალი ფაქტორითაა განპირობებული.

საქმე ისაა, რომ აფხაზეთში დღეს დაახლოებით თანაბარი რიცხოვნობის სამი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს: აფხაზები, სომხები და ქართველები. მეოთხე, რუსული, შედარებით მცირერიცხოვანია, თუმცა ზრდის პერსპექტივით.

ამ ჯგუფებიდან აფხაზური სახელმწიფოებრიობის იდეის მატარებელი მხოლოდ ეთნიკური აფხაზები არიან. გალის მოსახლეობა და ზოგადად აფხაზეთის ქართველობა, მეტწილად, საქართველოს ლოიალურია. სომხებისთვის კი, რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა, ბევრად უფრო პრაგმატულია, ვიდრე აფხაზეთში მეორეხარისხოვან მოსახლეობად დარჩენა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ეთნიკური სომხების ძლიერ პოზიციებს კრასნოდარის მხარეში, ვაჭრობის შესაძლებლობებს და სხვა საკითხებს, სომხების პოზიციები სრულიად გასაგები ხდება.

ამიტომ აფხაზები არც ერთ სხვა ჯგუფს არ ენდობიან და არც უშვებენ პოლიტიკაში, ყოველ შემთხვევაში იმ პროპორციით, როგორიც ამ ჯგუფებს ეკუთვნით მათი რაოდენობიდან გამომდინარე. აფხაზური ნაციონალური პროექტის აქილევსის ქუსლი, ზუსტად ეს დემოგრაფიული მოზაიკაა და გამოსავალიც ჯერჯერობით არ იკვეთება.

***— თვითგამოცხადებული აფხაზეთის პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ გალის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები გალელებისთვის ცხოვრების უფლების დამადასტურებელი საბუთების გაცემა დაიწყება. თქვენი აზრით, რატომ შეცვალა ხაჯიმბამ გალელებისადმი დამოკიდებულება? სოხუმის ეს ნაბიჯი გალელების მიმართ არჩევნებს ხომ არ უკავშირდება?***

— გალთან და ზოგადად ქართულ მოსახლეობასთან მიმართებაში პოლიტიკის შემუშავებაზე აფხაზეთში დისკუსიები დღემდე მიდის. სხვადასხვა ჯგუფები განსხვავებულ პოზიციებზე დგანან. ერთია ანქვაბის ჯგუფთან დაკავშირებული კონცეფცია, რომლის თანახმადაც აფხაზურმა „სახელმწიფომ“ ეტაპობრივად უნდა მოახდინოს ქართველების ინტეგრაცია. ზუსტად ამ მიდგომის ფარგლებში დაურიგდათ მათ ე.წ. აფხაზური პასპორტები, ხელი ეწყობოდა გალელების საგანმანათლებლო პროექტებში ჩართვას, კერძოდ, სოხუმის უნივერსიტეტში მათთვის დაწესდა კვოტები და ა.შ.

ხაჯიმბა უფრო მკაცრი მიდგომებით ხასიათდება. მისი მოსაზრებით, გალელებმა უარი უნდა თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე და მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება რამე სახის ინტეგრაციაზე საუბრის დაწყება. ბალაფშიცა და ანქვაბიც გალელების მიერ საქართველოს მოქალაქეობის ქონაზე თვალს ხუჭავდნენ.

ამ პოზიციებიდან გამომდინარე, გალის მოსახლეობა ხაჯიმბას მთავრობისადმი ანტაგონისტურად იყო და არის განწყობილი და ზუსტად ამის გამო ჩამოართვეს მათ პასპორტები, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არჩევნებს გარანტირებულად წააგებდა.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# კახა კალაძე: „არის შესაძლებლობა იმის, რომ გაზის ტარიფები გაიზარდოს“



– არის შესაძლებლობა იმისა, რომ გაზის ტარიფები გაიზარდოს, თუმცა დაველოდოთ სემეკის გადაწყვეტილებას, – ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ გაზის ტარიფების შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, გაზის ტარიფებს ითვლის სემეკი და განიხილავს, რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით დღეს.

– დაველოდოთ, რადგან საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა. იმის შემდეგ, როცა იქნება გადაწყვეტილება მიღებული, მერე შეგვიძლია უკვე კონკრეტიკაზე ვისაუბროთ, თუმცა ის მეთოდი, რომ მოხდეს კონკრეტული ადამიანების სუბსიდირება ბიუჯეტიდან, ევროპულ ქვეყნებშიც მისაღები ფორმაა, შესაბამისად, შეიძლება განვიხილოთ იმ შემთხვევაში, თუ ტარიფის მატება იქნება ბუნებრივ აირზე.

მე არ ვამბობ, რომ ეს აუცილებლად იქნება, ამას მარეგულირებელი დაადგენს. იმ შემთხვევაში თუ იქნება, შესაძლებელია ვისაუბროთ მიზნობრივ სუბსიდირებაზე, როგორც ეს ელექტროენერგიის ნაწილში გვაქვს, – განაცხადა კალაძემ.



მისივე თქმით, საქართველოში ბუნებრივი აირი სრულად იმპორტირებულია ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან, მისი ყიდვა ხდება უცხოურ ვალუტაში – დოლარში და საქართველოში მოსახლეობაზე ეროვნულ ვალუტაში ხდება მისი გასაღება.

– ასე რომ, არის შესაძლებლობა იმისა, რომ ტარიფები გაიზარდოს, თუმცა დაველოდოთ მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებას და ეს მხოლოდ და მხოლოდ გამოწვეულია კურსის ცვალებადობით, – განაცხადა კალაძემ.

გაზის სექტორის მოქმედმა კომპანიებმა ბუნებრივი აირის ტარიფის გადახედვის მოთხოვნით სემეკს უკვე მიმართეს.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა კომისიამ მათი სატარიფო განაცხადების საფუძველზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოებები დაიწყო.

**ბიპიენი**

# საქართველოში ვერც ერთი ბიზნესმენი ვერ ააშენებს ახალ აეროპორტს

2027 წლამდე, ვიდრე თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების მფლობელი „ტავ ურბან ჯორჯია“ არის, საქართველოში ვერც ქართველი ბიზნესმენი და ვერც უცხოელი ინვესტორი ვერ გაბედავს და ვერ ააშენებს ახალ ქართულ აეროპორტს.

ამის შესახებ ექსპერტმა ავიაციის საკითხებში იასე ზაუტაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, „ტავ ჯორჯიასა“ და საქართველოს მთავრობას შორის დადებულ ხელშეკრულებაში ბევრი კაბალური პუნქტია, ამიტომ ხელშეკრულება გადასახედია, მასში არსებული ბევრი პუნქტი კი შესაცვლელი და ამოსაღებია.



– სანამ ახალი ხელისუფლება მოვიდოდა, ისინი თავის წინასაარჩევნო პროგრამაში ამბობდნენ, რომ ქვეყანაში ორი კაბალური ხელშეკრულება არსებობს – ერთი „ტავ ჯორჯიასთან“, მეორე „სითი პარკთან“, რომლებიც მთელი რიგი დარღვევებით არის მიღებული წინა ხელისუფლების მიერ და ჩვენ უნდა გადავხედოთ ამ ხელშეკრულებებს, შევისწავლოთ და თუ საჭირო იქნება, გავწყვიტოთ კიდეცო.

ჩვენდა გასაოცრად, „ტავ ურბანის“ შემთხვევაში ეს ხელშეკრულება ისევ გასაიდუმლოვდა და კიდევ 10 წლის ვადით, 2027 წლამდე გაგრძელდა, – აღნიშნა იასე ზაუტაშვილმა.

მან ისაუბრა იმ კაბალურ პირობებზე, რომლებიც ამ ხელშეკრულებაში დევს.

– პირველი – ხელშეკრულება განსაზღვრავს მოსაკრებლის მატებას ყოველგვარი საფუძვლებისა და განმარტების გარეშე. მეორე – სანამ „ტავ ურბან ჯორჯია“ არის თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების მფლობელი 2027 წლამდე, საქართველოში ვერც ერთი ქართველი ბიზნესმენი, ვერც ერთი უცხოელი ინვესტორი ვერ გაბედავს და ვერ ააშენებს ახალ ქართულ აეროპორტს, – განაცხადა იასე ზაუტაშვილმა.

მისივე თქმით, მოსაკრებლის 2 დოლარით მომატების შედეგად, „ტავ ჯორჯია“ წლის ბოლოს 6 მილიონ დოლარს მიიღებს, რომელიც მთლიანად კომპანიის ჯიბეში წავა.

– მგზავრთა ნაკადის ზრდასთან ერთად, „ტავ ურბანი“ იტოვებს უფლებას, გაზარდოს მოსაკრებელი. ეს ტაქსა 22 დოლარით იყო განსაზღვრული, ახლა ეს 24 დოლარი გახდა. ეს ნიშნავს, რომ თითოეული მოქალაქე ბილეთის შეძენასთან ერთად, გადაიხდის 24 დოლარს „ტავ ურბანის“ სასარგებლოდ.

ეს 2 დოლარის მომატება ხომ უნდა იყოს რაღაცის ეკვივალენტური. მათ ახალი ტერმინალი ჯერ არ გაუხსნიათ, ახალი გასასვლელები არ დაუმატებიათ და მომსახურების სტანდარტები არ აუწევიათ, მაგრამ გადასახადს მაინც უმატებენ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რატომ იხდის ამ 24 დოლარს, – განაცხადა ექსპერტმა.

მისი თქმით, ვერავინ ახსნის, რის საფუძველზე გაზარდა მან ეს ტარიფი 2 დოლარით.

– თუ არგუმენტი იქნება ისეთი, რომ მგზავრთა ნაკადი გაიზარდა, ნურას უკაცრავად, მგზავრთა ნაკადის მატება, ტურისტული პოტენციალის ზრდა ქვეყანაში ხელისუფლებისა და მთავრობის დამსახურებაა, მგზავრთა ნაკადი არ გაუზრდია „ტავ ურბანის“ უსახურ და უვარგის მომსახურებას. აქედან გამოდის, რომ მთავრობის მიღწეული შედეგებით სარგებლობს უცხოური ოპერატორი და ამით მან დამატებით 6 მილიონი დოლარი უნდა ჩაიჯიბოს ამ წლის ბოლოს, რატომ?! ეს არ არის განმარტებული, – განაცხადა იასე ზაუტაშვილმა.

**ბიპიენი**

# ნავთობის ფასი 3-თვიან მინიმუმს ასცდა

9 მარტს ნავთობის ფასი 3-თვიან მინიმუმზე დაეცა, 10 მარტს დილით ოდნავ გაიზარდა.



ფასის ვარდნა იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ბაზარზე მიწოდება მოთხოვნას სჭარბობს და არსებობს რეალური ალბათობა, რომ ეს დისბალანსი შენარჩუნდება.

„ბრენტის“ მარკის ნავთობის ფასი დღეს 0.71%-ით გაიზარდა და ბარელზე 52.56 დოლარს მიაღწია. ამერიკული ჭთI-ის ნავთობი 0.75%-ით გაძვირდა და ბარელზე 49.54 დოლარი შეადგინა.

ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსს ბაზარზე სულ უფრო მეტი ფიქალური ნავთობის მიწოდება განაპირობებს. მისი წარმოების სტიმულირებას კი ნავთობის ფასის ზრდა იწვევს. ფიქალური ნავთობის მოპოვების ტექნოლოგია ძვირია და როცა ფასი დაბალია, ასე მოპოვება რენტაბელობას კარგავს. ფასის ზრდის შემთხვევაში კი რენტაბელობა და, შესაბამისად, მოპოვებაც, იზრდება.

გარდა ამისა, ბოლო დროს სულ უფრო იზრდება აშშ-ში მოქმედი საბურღი დანადგარების რიცხვი. ყოველივეს შედეგად, ნავთობის უდიდესი მომხმარებლის – შეერთებული შტატების მარაგები სულ უფრო იზრდება, რაც ამ ქვეყნის მხრიდან მოთხოვნას ამცირებს.

გასულ კვირას ამერიკაში ნავთობის მარაგი 8.2 მილიონი ბარელით, 528.39 მილიონ ბარელამდე გაიზარდა. არადა ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ ზრდა მხოლოდ 2 მილიონი ბარელით მოხდებოდა.

მარაგის მაღალი ტემპით დაგროვებასაც თავისი მიზეზი აქვს. საქმე ისაა, რომ ამჟამად რამდენიმე ამერიკულ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში რემონტია, რისი დასრულების და ქარხნების ამუშავების შემდეგაც, ანალიტიკოსები ქვეყანაში ნავთობის მარაგის კლებას ვარაუდობენ.

იმავდროულად, ამერიკაში ასევე შეინიშნება ფიქალური ნავთობის და გაზის საბურღი დანადგარების ზრდის ტენდენცია. ამერიკული ნავთობმომპოვებელი კომპანიები, ჩრდილოეთ დაკოტას, ოკლაჰომას და სხვა შტატებში, მოპოვების კიდევ უფრო გაზრდას გეგმავენ. გაიზარდა მოპოვება აშშ-ში უდიდეს, „პერმეინის“ საბადოზე.

ამგვარად, პრაქტიკულად ბათილდება ის ეფექტი, რომელიც ოპეკ-ის და მასში არშემავალი ნავთობმომპოვებელი ქვეყნების შეთანხმებამ გამოიწვია.

მათ მოილაპარაკეს, რომ ამ წლის პირველ ნახევარში, ნავთობის გლობალური დღიური მოპოვება დაახლოებით 1.8 მილიონი ბარელით შეამცირონ. ამ შეთანხმებას ნავთობზე ფასის ზრდა მოჰყვა, თუმცა შემდეგ ეს ეფექტი ამერიკის ფაქტორმა გააბათილა.

საუდის არაბეთის ენერგოსექტორის წარმომადგენლებს შეხვედრა ჰქონდათ ამერიკის უმსხვილეს ნავთობკომპანიებთან. ითქვა, რომ ოპეკ-ი არ გეგმავს მოპოვების შემცირების შეთანხმების (ის 1 ივნისამდე მოქმედებს) გაგრძელებას.

ეს დიდი ალბათობით გამოიწვევს ნავთობზე ფასის კლებას, რაც უარყოფითად იმოქმედებს ფიქალური ნავთობის მოპოვების რენტაბელობაზე.

**ბიპიენი**

# პაპუაშვილი — 45.000, კვაჭანტირაძე — 30.000

## პატარა შემოსავალი და დიდი პარტიული შეწირულობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ „ქართული ოცნების“ დამფინანსებელი თანამდებობის პირების ვინაობას ასაჯაროებს.



ორგანიზაციის ინფორმაციით, ერთ-ერთი შემომწირველია უმრავლესობის ყოფილი ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე, რომელმაც პარტიას 30.000 ლარი შესწირა, მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის დეკლარაციის მონაცემებით, კვაჭანტირაძის შემოსავალი 8.594 ლარი იყო.

„ქართული ოცნების“ დამფინანსებელთა შორისაა უმრავლესობის კიდევ ერთი დეპუტატი ზაზა პაპუაშვილი, რომელმაც პარტიას 45.000 ლარი შესწირა. მაშინ როდესაც, „გამჭვირვალობის“ კვლევის თანახმად, პაპუაშვილის დეკლარირებული შემოსავალი 2016 წლის მონაცემებით, 24.442 ლარი იყო.

კიდევ ერთი დეპუტატი, რომელმაც „ოცნებას“ თანხა შესწირა, ფატი ხალვაშია. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ინფორმაციით, ხალვაშის შემოსავალი 2016 წელს 57.610 ლარი იყო, ხოლო სექტემბერში მან „ოცნებას“ 20.000 ლარი გადაურიცხა.

არასამთავრობო ორგანიზაციამ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ სუბიექტთა დაფინანსების წყაროები შეისწავლა.

ყველა სუბიექტმა ერთიანობაში საარჩევნო კამპანიის წარმოებისას 30 მილიონი ლარი დახარჯა, აქედან 20 მილიონი „ქართულ ოცნებაზე“ მოდის.

**პირველი რადიო**

# ჭავჭავაძის გამზირზე ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა



ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე პიქსელის შენობასთან, ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა. არსებული ინფორმაციით, არავინ დაშავებულა.

ადგილზე მობილიზებულები იყვნენ მეხანძრეები, რომლებმაც ცეცხლის ლოკალიზება დროულად მოახერხეს.

**კვირა**

# ბანკებმა „ბავშვთა სამყაროს“ 200 დაზარალებულის კრედიტების რესტრუქტურიზაცია განახორციელეს



თბილისის ვიცე-მერი ლაშა აბაშიძე და მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე „ბავშვთა სამყაროში“ ხანძრით დაზარალებულების სესხების რესტრუქტურიზაციის საკითხზე კომერციული ბანკების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

„ბავშვთა სამყაროში“ ხანძრის შედეგად 600-ზე მეტ დაზარალებულს აქვს საბანკო ვალდებულებები, რომლის ჯამური ღირებულება 16 მილიონამდე ლარს შეადგენს.

საშეღავათო პირობების განსაზღვრისთვის ბანკებს 200-მდე დაზარალებულმა მიმართა. ბანკებმა ყველა მათგანის სასესხო ვალდებულების რესტრუქტურიზაცია განახორციელეს. ამასთან, მათ სხვადასხვა სახის საშეღავათო პირობები ინდივიდუალურად განესაზღვრათ. ამ ეტაპზე ბანკების მიერ რესტრუქტურიზებული თანხა ჯამში, 7 მილიონამდე ლარს შეადგენს.

ბანკებმა დაზარალებული მსესხებლებისთვის შეღავათიანი რეჟიმის ინდივიდუალურ პირობებში გაგრძელების მზადყოფნა გამოთქვეს.

**კვირა**

# აშშ-ის კონგრესმა უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებას მხარი დაუჭირა



აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობითმა პალატამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს, სადაც საუბარია უკრაინისთვის სამხედრო დახმარების ალმოჩენაზე.

საამისოდ გამოყოფილია 150 მილიონი დოლარი.

იმისთვის, რომ კანონი ძალაში შევიდეს, მას მხარი სენატმაც უნდა დაუჭიროს.

# დაინიშნა აშშ-ის ახალი ელჩი რუსეთში



აშშ-ის ახალ ელჩად რუსეთში ჯონ ჰანტსმანი დაინიშნა. ის გამოცდილი დიპლომატია. დაიბადა 1960 წელს. პოლიტიკური კარიერა რონალდ რეიგანის ადმინისტრაციაში დაიწყო. სხვადასხვა დროს იყო აშშ-ის ელჩი სინგაპურსა და ჩინეთში.

ჰანტსმანი ცნობილია პუტინის რეჟიმისადმი მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულებით. წინასაარჩევნო კამპანიისას ტრამპი რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვის" იდეით გამოვიდა. ჰანტსმანი მას მწვავედ აკრიტიკებდა.

ის, რომ ტრამპმა რუსეთში ელჩად ასეთი კაცი დანიშნა, ცალსახად მიუთითებს, რომ აშშ-ის პრეზიდენტი „გადატვირთვის" შესაძლებლობის ილუზიისგან გათავისუფლდა.

# პუტინმა 10 გენერალი გაათავისუფლა



რუსეთის პრეზიდენტი საკადრო ცვლილებებს განაგრძობს. თანახმად პუტინის უკანასკნელი ბრძანებისა, შსს-დან 10-მდე გენერალია გათავისუფლებული. ცვლილებებია რუსეთის საგამოძიებო კომიტეტშიც.

გათავისუფლებულთა ნაცვლად თანამდებობებზე პუტინთან დაახლოებული პირები დაინიშნნენ.

# დონალდ ტუსკი ევროსაბჭოს თავმჯდომარედ მეორე ვადით აირჩიეს



პოლონელი დონალდ ტუსკი ევროსაბჭოს თავმჯდომარედ მეორე ვადით აირჩიეს.

პოლონეთში ამას მწვავე რეაქცია მოჰყვა.

— ტუსკის არჩევით იმედგაცრუებულნი ვართ, — განაცხადა პოლონეთის პრემიერმა ბეატა შიდლომ.

ვარშავასა თუ სხვა ქალაქებში ტუსკის ხელახლა არჩევის გამო საპროტესტო აქციები გაიმართა.

# სასამართლომ სამხრეთ კორეის პრეზიდენტის იმპიჩმენტი დაადასტურა



სამხრეთ კორეის საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტ პაკ ინგ კხეს იმპიჩმენტი დაადასტურა.

მიუხედავად ამისა, თავად კხე აცხადებს, რომ მისი გადაყენება უკანონოა.

— მე შეთქმულების მსხვერპლი ვარ, — ამბობს იგი.

თანახმად სამხრეთ კორეის კანონებისა, 60 დღის ვადაში უნდა ჩატარდეს არჩევნები და ახალი პრეზიდენტი აირჩიონ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ზვიგენისკოსტიუმიანმა მამაკაცმა ავტოგასამართი სადგური დააყაჩაღა



ახალ ზელანდიაში ზვიგენისკოსტიუმიანმა მამაკაცმა ავტოგასამართი სადგური გაძარცვა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

ინციდენტი ახალი ზელანდიის კენტერბერის რეგიონში მოხდა. დაახლოებით ღამის ორ საათზე ავტოგასამართი სადგურის შენობაში შევიდნენ ზვიგენის კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი და მისი თანამზრახველი, რომელსაც შავი ფერის სათვალე ეკეთა, ხოლო სახეზე ცხვირსახოცი ჰქონდა აფარებული. ერთ-ერთი დანით, ხოლო მეორე ჩაქუჩით იყო შეიარაღებული.

— მათ ჩაამსხვრიეს ვიტრინა, რამაც გამყიდველი შეაშინა და მან დამხმარე სათავსოს შეაფარა თავი, სადაც მის თანამშრომელს ეძინა, — განაცხადეს კენტერბერის პოლიციაში, — ამის შემდეგ ბოროტმოქმედებმა ავტოგასამართი სადგური დატოვეს და თან ჯერჯერობით დაუდგენელი რაოდენობის კანფეტები წაიღეს.

სამართალდამცავებმა, რომლებიც შემთხვევის ადგილზე იყვნენ გამოძახებული, მძარცველების კვალს ვერ მიაგნეს. მათ სოციალურ ქსელებში გაავრცელეს სათვალთვალო კამერების მიერ გადაღებული კადრები და მოსახლეობას სთხოვეს, რომ უცნაურ კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცის შენიშვნის თაობაზე პოლიციას აცნობონ.

# ლომებმა ინდოეთის სოფლის მცხოვრებლები შეაშინეს



გარეულმა აზიურმა ლომებმა, რომლებიც გუჯარათის შტატის ერთ-ერთი სოფლის გზებზე გამოჩნდნენ ადგილობრივებს შორის შიში და არეულობა გამოიწვიეს.

სამი მტაცებელი სოფელ გიგასანის მახლობლად შენიშნეს, რომელიც შტატის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. ლომებმა აუჩქარებლად გაიარეს დასახლებული პუნქტის მახლობლად მდებარე მინდვრები და გზა სოფლის ქუჩებში გააგრძელეს. მათ დასახლება დაახლოებით ათ წუთში დატოვეს.

შეშინებული და პანიკით შეპყრობილი გლეხები სამუშაოს ტოვებდნენ და თავს გაქცევით შველოდნენ. გიგასანის ერთ-ერთმა მცხოვრებმა ლომების გასეირნების გადაღება უსაფრთხო მანძილიდან მოახერხა.

ადგილობრივები ვარაუდობენ, რომ მტაცებლები სოფელში მეზობლად მდებარე გირის ნაკრძალიდან მოვიდნენ — ერთადერთი ადგილიდან მსოფლიოში, სადაც აზიური ლომები შემორჩნენ. ვინაიდან ეს ტერიტორია საკმარისი არ არის იმისთვის, რომ 312 სულამდე გაზრდილმა პოპულაციამ საკვებზე მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, ისინი ახალ საბინადრო ადგილებს ეძებენ.

# ავსტრალიაში ტბა ვარდისფრად შეიღება



ავსტრალიის ვიქტორიის შტატში მდებარე ტბა ვარდისფერი გახდა. ერთი შეხედვით, შეიძლება, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ ეს წყალში საღებავის მოხვედრის ან მისი დაბინძურების შედეგად მოხდა, მაგრამ სინამდვილეში საუბარია ბუნებრივ მოვლენაზე. წყალსატევმა, რომელიც უესთგეიტის პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს, ფერი წყალში მარილის მეტისმეტად მაღალი შემცველობის, მაღალი ტემპერატურის, მზის სინათლისა და წვიმის წყლის ნაკლებობის გამო შეიცვალა.

როგორც ბუნებრივ კომპლექსში განმარტეს, ტბის ფსკერზე მარილის დანალექში ბინადრობენ წყალმცენარეები, რომლებიც ფოტოსინთეზის პროცესის ფარგლებში წითელ პიგმენტს (ბეტა-კაროტინი) გამოყოფენ.

— შეგიძლიათ, ტბის ხედით დატკბეთ, მაგრამ წყალთან კონტაქტს არ გირჩევთ, — განაცხადეს პარკის თანამშრომლებმა.

ვარაუდობენ, რომ ტბა ნორმალურ ფერს მაშინვე მიიღებს, როგორც კი ტემპერატურა დაიწევს და წვიმები დაიწყება.

# იაპონური წყვილი 37 წელია, ერთმანეთის შესაფერის ტანსაცმელს იცვამს





იაპონურმა წყვილმა ინტერნეტი იმით დაიპყრო, რომ ისინი უკვე 37 წელია, ყოველდღე ერთმანეთის შესაფერისს სამოსს იცვამენ.

ინსტაგრამში იაპონელი წყვილის ცხოვრებას თვალს 80 ათასზე მეტი ინტერნეტმომხმარებელი ადევნებს. ასეთი წარმატება იმით აიხსნება, რომ ქმრის ტანსაცმელი ყოველთვის შეესაბამება ცოლის ტანსაცმელს და პირიქით.

— ინტერნეტი შეყვარებულია მათ სტილზე, — წერს ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა. თაყვანისმცემლები მათ „ბრწყინვალედ კოორდინირებულ წყვილს" უწოდებენ და სთხოვენ, ასეთი ბედნიერი ურთიერთობის საიდუმლო გაამხილონ.

# ბენ აფლეკმა და ჯენიფერ გარნერმა განქორწინება გადადეს

ჰოლივუდის მსახიობებმა ბენ აფლეკმა და ჯენიფერ გარნერმა გადაწყვიტეს, განქორწინება გადადონ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს. მსახიობებმა დაშორების თაობაზე განცხადება 2015 წლის ივნისში გააკეთეს, ამჟამად კი, ინფორმაციის წყაროს თქმით, გარნერს სურს, აფლეკის მიმართ საკუთარ გრძნობებში გაერკვეს და კიდევ ერთხელ ცადოს ოჯახის შენარჩუნება. ასევე ინფორმატორი ამტკიცებს, რომ ოჯახური ურთიერთობის გაგრძელების შანსი ყოველთვის არსებობს და მსახიობებს ისევ უყვართ ერთმანეთი.

— გარდა ამისა, მათ უყვართ შვილები და შვილებსაც უყვართ მშობლები, — განაცხადა წყვილთან დაახლოებულმა წყარომ.

შეგახსენებთ, რომ აფლეკსა და გარნერს ორი გოგონა და ბიჭი ჰყავთ.



*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო





# ვის სჭირდება კომპიუტერული ტომოგრაფია

ეკა ირემაშვილი



კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა არის სწრაფი და ზუსტი მეთოდი, რომელიც დამყარებულია რენტგენის სხივებზე, მინიმალური სხივური დატვირთვით.

რომელი ორგანოების კვლევისთვის იყენებენ კომპიუტერულ ტომოგრაფიას, მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიასთან შედარებით რა უპირატესობით სარგებლობს კომპიუტერული ტომოგრაფია, რამდენ ხანს გრძელდება კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა, რამდენად რეკომენდებულია ორსულებისთვის? – ამ თემებზე ქირურგიის ეროვნული ცენტრის ექიმი-რადიოლოგი ვასილ გერგედავა საუბრობს.

**ვასილ გერგედავა:**

– დღესდღეობით არსებული დიაგნოსტიკური კვლევის თანამედროვე მეთოდებიდან პირველად სამედიცინო დიაგნოსტირებაში კომპიუტერულ ტომოგრაფიას უჭირავს ლიდერის პოზიცია. კომპიუტერული ტომოგრაფია გვაძლევს საშუალებას, რამდენიმე წამში მივიღოთ სხეულის ნებისმიერი ქსოვილის 0.1 მილიმეტრიდან 10 მილიმეტრამდე სისქის შრეობრივი გამოსახულება.

კომპიუტერული ტომოგრაფიის საშუალებით შესაძლებელია, სრულყოფილად გამოვიკვლიოთ ადამიანის მთლიანი სხეულის ნებისმიერი ორგანო – თავის ტვინი, გულმკერდის ღრუ, შუასაყარი, გული, მუცლისა და მენჯის ღრუს ორგანოები – ღვიძლი, ელენთა, ნაღვლის ბუშტი, პანკრეასი, თირკმელზედა ჯირკვლები, თირკმლები, საშარდე სისტემა, შარდის ბუშტი, წინამდებარე ჯირკვალი, აორტა და მისგან გამომავალი მაგისტრალური თუ პერიფერიული სისხლძარღვები, ზედა და ქვედა კიდურები.

კომპიუტერული ტომოგრაფიის როლი მნიშვნელოვნად დიდია ფილტვების, ძვლოვანი სტრუქტურების, კუჭისა და ნაწლავების გამოსაკვლევად.

***– რამდენად მნიშვნელოვანია კომპიუტერული ტომოგრაფიის როლი დაავადებათა დროული დიაგნოსტირებისა და პრევენციის თვალსაზრისით?***

– კომპიუტერული ტომოგრაფიის როლი ძალზე მნიშვნელოვანია როგორც დროული დიაგნოსტირების, ასევე პრევენციის თვალსაზრისით. სხვა არსებული კვლევებისგან განსხვავებით, კომპიუტერული ტომოგრაფია დროის ხანმოკლე მონაკვეთში, სულ რამდენიმე წუთში, იძლევა დეტალურ ინფორმაციას ორგანიზმში მიმდინარე ამა თუ იმ პათოლოგიურ პროცესზე.

***– მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიასთან შედარებით, რა უპირატესობით სარგებლობს კომპიუტერული ტომოგრაფია?***

– როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიასთან შედარებით, კომპიუტერული ტომოგრაფიის უპირატესობა არის ფილტვების, ძვლოვანი სტრუქტურების, კუჭისა და ნაწლავების კვლევა. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიისაგან განსხვავებით, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევისას პაციენტს არ აქვს დახურული სივრცის შიში – კლაუსტროფობია და არ აწუხებს კვლევისას ხმაური.

***– რამდენ ხანს გრძელდება კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა?***

– კვლევის ხანგრძლივობა რამდენიმე წამიდან წუთამდე მერყეობს, რაც მიღწეულია თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფით.

***– უსაფრთხოა თუ არა კომპიუტერული ტომოგრაფია და რამდენად არის რეკომენდებული ორსულებისთვის?***

– როგორც უკვე მოგახსენეთ, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევისას გამოიყენება რენტგენის სხივები, რომელიც გამოყოფს მაიონიზირებელ გამოსხივებას, შესაბამისად, კვლევის წარმოება უკუნაჩვენებია ორსულებში. ამ დროს მხოლოდ სასიცოცხლო ჩვენებით ტარდება კვლევა – პოლიტრავმების დროს; ასევე რისკფაქტორს წარმოადგენს ალერგიულ პაციენტებში კვლევის წარმოება კონტრასტული გაძლიერებით. სხვა უკუჩვენება არ გააჩნია.

სპორტი

# ოქროს ბურთის მესამე მფლობელი რაიმონ კოპა გარდაიცვალა



85 წლის ასაკში გარდაიცვალა ფრანგული ფეხბურთის ლეგენდა რაიმონ კოპა. თუმცა, რატომ მარტო ფრანგული – „ოქროს ბურთის" რიგით მესამე მფლობელი.

პოლონელი ემიგრანტის ვაჟმა რომან კოპაშევსკიმ, რომელმაც მოგვიანებით, ფრანგულად გადაიკეთა სახელი და გვარი, რეიმსის შემადგენლობაში საფრანგეთის ჩემპიონატი ორჯერ მოიგო და მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონატზე ითამაშა. გეცოდინებათ, რეიმსში დღეს ჯაბა კანკავა თამაშობს და საფრანგეთის ჩემპიონატში რანგით მე-2 ლიგაში თამაშობს, იმ პერიოდში კი ჩემპიონთა თასის პირველი გათამაშების ფინალში ითამაშა და მადრიდის რეალთან 3:4 წააგო.

3 წლის შემდეგ რეიმსი ისევ გავიდა ამ ტურნირის ფინალში, მაგრამ ისევ რეალთან წააგო, მაგრამ კოპა მაშინ უკვე მადრიდელთა შემადგენლობაში თამაშობდა. ასე გახდა კოპა ისტორიაში პირველი ფეხბურთელი, რომელიც ჩემპიონთა თასის ფინალში სხვადასხვა კლუბის შემადგენლობაში იყო. მადრიდში რაიმონმა ესპანეთის ჩემპიონატის 2 ოქრო მოიგო და სამჯერ გახდა საუკეთესო კონტინენტზე.

საინტერესოა, რომ რეალში გატარებულ ოთხივე სეზონს კოპა „ოქროს ბურთის" 3 საუკეთესო ლაურეატს შორის ასრულებდა. 1956 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა სტენლი მეტიუზი, 1957 და 1959 წლებში რაიმონის პარტნიორი კლუბში – ალფრედო დი სტეფანო, 1958 წელს კი კოპამ მაინც მიაღწია თავისას და კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

ცალკე თემაა კოპასა და დი სტეფანოს ურთიერთობა: ისინი ძალიან კარგად ავსებდნენ ერთმანეთს მაშინ, როცა ერთ-ერთი ცენტრალური ფორვარდის პოზიციაზე თამაშობდა, მეორე კი უფრო სიღრმიდან მოქმედებდა. ორივეს შესანიშნავი პასი ჰქონდა, უნაკლოდ კითხულობდნენ თამაშს, მაგრამ მწვრთნელები კოპას მარჯვენა ფლანგზე აყენებდნენ, გუნდი კი, ჩვეულებისამებრ, ან დი სტეფანოზე თამაშობდა, ან ფრანსისკო ჰენტოზე, რომელიც მარცხენა ფლანგზე მოქმედებდა.

მართალია, კოპა ცოტას არ იტანდა და მწვრთნელებს მის მიმართ განსაკუთრებული პრეტენზია არ ჰქონდათ, მაგრამ მადრიდში დიდი ხანი არ გაჩერებულა. ამის მიზეზი სწორედ არგენტინელთან კონფლიქტი იყო, პლუს სურვილი იმისა, რომ უფრო მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა გუნდში, ვიდრე რეალურად ჰქონდა. 1959 წელს, რეალმა ჩემპიონატი ბარსელონასთან წააგო და ფრანგი რეიმსში დაბრუნდა, სადაც კარიერის ბოლომდე თამაშობდა.

მოგვიანებით, დი სტეფანოს შესახებ კოპამ პრესაში ილაპარაკა. მან თქვა, რომ არგენტინელი ჭირვეული ბავშვივით იქცეოდა და კლუბის ხელმძღვანელობა ყველაფერს პატიობდა. რაიმონის მონაყოლმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, მაგრამ ალფრედომ პასუხის გაცემა საჭიროდ არ ჩათვალა.

რეიმსში დაბრუნების შემდეგ კოპა შეუერთდა ფრანგული ფეხბურთის კიდევ ერთ ლეგენდას – ჟიუსტ ფონტენს. მსოფლიოს ერთ ჩემპიონატზე გოლების რაოდენობით რეკორდსმენი რეიმსში სწორედ რეალში გადასული კოპას შემცვლელად მივიდა, თუმცა დაბრუნების შემდეგ, ერთად ძლიან საშიში ძალა გახდნენ. მათ შესანიშნავად ესმოდათ ერთმანეთის და კოპა ტრაბახობდა კიდეც, რომ შეუძლია დახუჭული თვალებით მისცეს პასი და ბურთი აუცილებლად იპოვის ფონტენს. ორი ფრანგი იდეალურ დუეტს ქმნიდა: ორივე ფეხით და თავით კარგად მოთამაშე ფონტენი და პატარა (ნაწილობრივ, ამიტომაც შეარქვეს ნაპოლეონი), ტექნიკური და კარგი პასის მქონე კოპა.

1958 წელს, საფრანგეთმა პირველად მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატის მედლები, კერძოდ, ბრინჯაო, თუმცა, მაშინ შვედეთში, პელეს, გარინჩასა და სხვების ბრაზილიის ნაკრების ძლევა შეუძლებელი იყო. ფრანგები ბრაზილიას ნახევარფინალში გადაეყარნენ და 2:5 წააგეს, რის შემდეგაც მესამე ადგილისთვის მატჩში 6:3 მოუგეს გერმანიას. იმ ჩემპიონატში ფონტენმა 13 გოლი გაიტანა, კოპამ – 3, სამაგიეროდ, საგოლე პასებით ამარაგებდა თავის მეგობარს.

კოპამ 35 წლამდე ითამაშა, კიდევ გრძნობდა საკუთარ თავში ძალებს გასაგრძელებლად, მაგრამ ტრავმის შემდეგ აღდგენა უკვე ვერ შეძლო. ამის შემდეგ რეიმსი თანდათან ქვემოთ დაეშვა და დღემდე საფრანგეთის ქვედა დივიზიონებში თამაშობს.

კოპა იყო ფეხბურთელთა გაფიცვის ინიციატორი. ფაქტობრივად, მონური მდგომარეობით აღშფოთებული და შეწუხებული მოთამაშეები საყოველთაო საპროტესტო აქციას შეუერთდნენ.

რაიმონმა პრესაში პირველმა წამოსწია ეს თემა და მთელი ქვეყანა აიძულა, სხვანაირად შეეხედა ამ პრობლემისთვის. როგორც გაირკვა, თავისი პირველი პროფესიული კონტრაქტის მიხედვით, კოპა თავის პირველ გუნდს, ანჟის 35 წლამდე ეკუთვნოდა, არ ჰქონდა ინტერვიუების მიცემის უფლება, არ შეეძლო პროფკავშირში შესვლა და ა.შ. კოპა მონობას კლუბის გაკოტრებამ გადაარჩინა.

კარიერის დასრულების შემდეგ კოპამ საკუთარი თავი ბიზნესს მიუძღვნა, გარკვეული ხანი მუშაობდა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციაში. რაიმონი პერიოდულად თამაშობდა ვეტერანთა მატჩებში, კომენტატორობდა ტელევიზიაში... მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის დროს, ის საორგანიზაციო კომიტეტის საპატიო წევრი იყო. პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ საპატიო ლეგიონის ორდენით დააჯილდოვა.

საკლუბო კარიერა: ანჟე (1949-51), რეიმსი (1951-56, 1959-67), რეალი (1956-59).

ტიტულები: ჩემპიონთა თასის მფლობელი (1957, 1958, 1959), საფრანგეთის ჩემპიონი (1953, 1955, 1960, 1962), ესპანეთის ჩემპიონი (1957, 1958).

ინდივიდუალური ტიტულები: ოქროს ბურთი (1958), ვერცხლის ბურთი (1959), ბრინჯაოს ბურთი (1956, 1957).

საფრანგეთის ნაკრებში: 45 მატჩი, 18 გოლი. მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ინგლისში თასმა ტური შეამცირა

## სტატისტიკა, ფსონები



ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნებიდან ინგლისში მოკლე ტურია – სათასო მატჩების გამო მხოლოდ 4 შეხვედრა გაიმართება და გრანდებიდან მხოლოდ ლივერპული ითამაშებს მორიგ მატჩს.

სხვა ქვეყნებს რაც შეეხება, კონკრეტულად გამორჩეული მატჩი არ არის, მაგრამ შესაძლებელია იტალიაში ინტერი-ატალანტასა და საფრანგეთში მონაკო-ბორდოს შეხვედრების გამოყოფა.

**ინგლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.03 ბორნმუთი-ვესტ ჰემი | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 11.03 ჰალი-სუონსი | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 11.03 ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.61 | 3.6 | 6.0 |
| 12.03 ლივერპული-ბარნლი | 1.22 | 6.0 | 13.0 |

**ბორნმუთი-ვესტ ჰემი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ადამ ფედერეკი, სიმონ ფრანსისი, კალუმ უილსონი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ანჯელო ოგბონა, დიაფრა სახო, გოკჰან ტორე

**ჰალი-სუონსი**

ჰალი: ***ტრავმ***-დიუმერკი მბოკანი, მაიკლ დაუსონი, რაიან მეისონი, კურტის დავისი, ბრიან ლენიანი, მარკუს ჰენრიკსენი, უილიამ კეინი

სუონსი: ***ტრავმ***-ნატან დაიერი, კი სუნგ-იანგი

**ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი**

ევერტონი: ***ტრავმ***-იანიკ ბოლასიე, მუჰამედ ბეშიჩი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-არავინ

**ლივერპული-ბარნლი**

ლივერპული: ***ტრავმ***-მარკო გრიჯიჩი, ჯორდან ჰენდერსონი, დანიელ სტარიჯი, ოვიე ეჯარია

ბარნლი: ***ტრავმ***-იოან გუდმუნდსონი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 27 | 21 | 3 | 3 | 57-20 | 63 |
| 2.ტოტენჰემი | 27 | 16 | 8 | 3 | 53-20 | 56 |
| 3.სიტი | 27 | 17 | 5 | 5 | 53-29 | 56 |
| 4.ლივერპული | 27 | 15 | 7 | 5 | 58-34 | 52 |
| 5.არსენალი | 26 | 15 | 5 | 6 | 55-31 | 50 |
| 6.მანჩესტერი | 26 | 13 | 10 | 3 | 39-22 | 49 |
| 7.ევერტონი | 27 | 12 | 8 | 7 | 44-30 | 44 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 27 | 11 | 7 | 9 | 36-34 | 40 |
| 9.სტოკი | 28 | 9 | 9 | 10 | 32-40 | 36 |
| 10.საუთჰემპტონი | 26 | 9 | 6 | 11 | 32-34 | 33 |
| 11.ვესტ ჰემი | 27 | 9 | 6 | 12 | 36-46 | 33 |
| 12.ბარნლი | 27 | 9 | 4 | 14 | 30-40 | 31 |
| 13.უოტფორდი | 27 | 8 | 7 | 12 | 33-47 | 31 |
| 14.ბორნმუთი | 27 | 7 | 6 | 14 | 37-52 | 27 |
| 15.ლესტერი | 27 | 7 | 6 | 14 | 30-45 | 27 |
| 16.სუონსი | 27 | 8 | 3 | 16 | 35-59 | 27 |
| 17.კრ.პალასი | 27 | 7 | 4 | 16 | 35-46 | 25 |
| 18.მიდლსბრო | 27 | 4 | 10 | 13 | 19-30 | 22 |
| 19.ჰალი | 27 | 5 | 6 | 16 | 24-53 | 21 |
| 20.სანდერლენდი | 27 | 5 | 4 | 18 | 24-50 | 19 |

**ესპანეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.03 ვალენსია-ხიხონი | 1.44 | 4.4 | 7.0 |
| 11.03 სევილია-ლეგანესი | 1.4 | 4.5 | 8.0 |
| 11.03 მალაგა-ალავესი | 2.0 | 3.1 | 4.2 |
| 11.03 გრანადა-ატლეტიკო | 7.0 | 4.0 | 1.5 |
| 12.03 სოსიედადი-ბილბაო | 2.15 | 3.3 | 3.4 |
| 12.03 დეპორტივო-ბარსელონა | 11.0 | 6.0 | 1.25 |
| 12.03 სელტა-ვილეარეალი | 2.7 | 3.25 | 2.62 |
| 12.03 რეალი-ბეტისი | 1.14 | 8.5 | 15.0 |
| 13.03 ოსასუნა-ეიბარი | 3.4 | 3.6 | 2.05 |

**ვალენსია-ხიხონი**

ვალენსია: ***ტრავმ***-ლუის ნანი, როდრიგო მორენო

ხიხონი: ***ტრავმ***-არავინ

**სევილია-ლეგანესი**

სევილია: ***ტრავმ***-კარლოს ფერნანდესი, ბენუა ტრემულანისი, მაიკლ კრონ-დელი

ლეგანესი: ***ტრავმ***-ომარ რამოსი, დავიდ ტიმორი, ჯონ სერანტესი, რობერტ იბანესი

**მალაგა-ალავესი**

მალაგა: ***ტრავმ***-ჯუანპი, ბაქარი კონე, რეკიო, ზდრავკო კუზმანოვიჩი

ალავესი: ***ტრავმ***-რუბენ სობრინო

**გრანადა-ატლეტიკო**

გრანადა: ***ტრავმ***-რენე კრინი, მეტიუ სუნიე

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ფერნანდო ტორესი, ტიაგო, აუგუსტო ფერნანდესი

**სოსიედადი-ბილბაო**

სოსიედადი: ***ტრავმ***-უილიამ ჯოუზი, კარლოს მარტინესი

ბილბაო: ***ტრავმ***-ოსკარ დე მარკოსი, საბინი, არიც ადურისი, კეპა არინზაბაგალა

**დეპორტივო-ბარსელონა**

დეპორტივო: ***ტრავმ***-გილერმე, გაელ კაკუტა

ბარსელონა: ***ტრავმ***-ალექსის ვიდალი, ჯერემი მატიე

**სელტა-ვილეარეალი**

სელტა: ***ტრავმ***-პაბლო, რუბენ ბლანკო

ვილეარეალი: ***ტრავმ***-ხოსე ანგელი, დენის ჩერიშევი, ადრიანი, სერხიო ასენხო

**რეალი-ბეტისი**

რეალი: ***ტრავმ***-რაფაელ ვარანი

ბეტისი: ***ტრავმ***-იონას მარტინი, ხოსე კარლოსი

**ოსასუნა-ეიბარი**

ოსასუნა: ***ტრავმ***-ფაუსტო ტიენზა, ტანო ბორინი, მიგელ ფლანო, ხავიერ ფლანო, დიდიე დიუგარი

ეიბარი: ***ტრავმ***-ნანო, ფრან რიკო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 26 | 18 | 6 | 2 | 76-21 | 60 |
| 2.რეალი | 25 | 18 | 5 | 2 | 67-26 | 59 |
| 3.სევილია | 26 | 17 | 5 | 4 | 50-30 | 56 |
| 4.ატლეტიკო | 26 | 14 | 7 | 5 | 48-22 | 49 |
| 5.სოსიედადი | 26 | 15 | 3 | 8 | 42-36 | 48 |
| 6.ვილიარეალი | 26 | 12 | 9 | 5 | 38-19 | 45 |
| 7.ბილბაო | 26 | 12 | 5 | 9 | 32-30 | 41 |
| 8.ეიბარი | 26 | 11 | 6 | 9 | 42-37 | 39 |
| 9.ესპანიოლი | 26 | 9 | 9 | 8 | 35-35 | 36 |
| 10.სელტა | 25 | 10 | 5 | 10 | 39-44 | 35 |
| 11.ალავესი | 26 | 8 | 10 | 8 | 26-32 | 34 |
| 12.ლას პალმასი | 26 | 8 | 8 | 10 | 40-41 | 32 |
| 13.ვალენსია | 26 | 8 | 5 | 13 | 35-46 | 29 |
| 14.ბეტისი | 26 | 7 | 7 | 12 | 28-42 | 28 |
| 15.მალაგა | 26 | 6 | 8 | 12 | 32-43 | 26 |
| 16.დეპორტივო | 26 | 5 | 9 | 12 | 29-41 | 24 |
| 17.ლეგანესი | 26 | 6 | 6 | 14 | 21-40 | 24 |
| 18.გრანადა | 26 | 4 | 7 | 15 | 24-54 | 19 |
| 19.ხიხონი | 26 | 4 | 5 | 17 | 27-55 | 17 |
| 20.ოსასუნა | 26 | 1 | 7 | 18 | 27-64 | 10 |

**გერმანია**

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.03 ბაიერნი-აინტრახტი | 1.08 | 10.0 | 23.0 |
| 11.03 ლაიპციგი-ვოლფსბურგი | 1.61 | 4.0 | 6.0 |
| 11.03 ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი | 2.9 | 3.6 | 2.37 |
| 11.03 ჰერტა-დორტმუნდი | 5.0 | 4.0 | 1.65 |
| 11.03 დარმშტადი-მაინცი | 3.4 | 3.25 | 2.25 |
| 11.03 ინგოლშტადი-კიოლნი | 2.5 | 3.1 | 3.1 |
| 12.03 შალკე-აუგსბურგი | 1.8 | 3.5 | 5.0 |
| 12.03 ჰამბურგი-გლადბახი | 2.8 | 3.3 | 2.6 |

**ბაიერნი-აინტრახტი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-ჟერომ ბოატენგი

აინტრახტი: ***ტრავმ***-ხესუს ვალიეხო, მარკო ფაბიანი

**ლაიპციგი-ვოლფსბურგი**

ლაიპციგი: ***ტრავმ***-ოლივერ ბურკი, იუსუფ პოულსენი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-დიეგო ბენალიო, პოლ სეგუინი, ჯოშუა გულავოგი, ჰენდრიკ ჰანსენი

**ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-პასკალ შტენცელი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-პაველ კადერაბეკი, მარკ უტი, ფაბიან შარი, ლუკას რუპი

**ჰერტა-დორტმუნდი**

ჰერტა: ***ტრავმ***-ჯულიან შიბერი, სინან კურტი, მიჩელ ვეიზერი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მარიო გიოტცე, სებასტიან როდე, სვენ ბენდერი

**დარმშტადი-მაინცი**

დარმშტადი: ***ტრავმ***-მიჩელ ესერი, დენის ოლეინიკი

მაინცი: ***ტრავმ***-სუატ სერდარი, კასიმ ონისივო

**ინგოლშტადი-კიოლნი**

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-მორიც ჰარტმანი

კიოლნი: ***ტრავმ***-ლეანდრო ბიტენკურტი, მატიას ლემანი, მარსელ რიისე, ტიმო ჰორნი

**შალკე-აუგსბურგი**

შალკე: ***ტრავმ***-დონის ავდიჯაჯი, ნალდო, ბაბა რაჰმანი, ფრანკო დი სანტო, ბრეელ ემბოლო

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ჯონათან შმიდი, დანიელ ბაიერი, ალფრედ ფინგობასონი, კაიბუ

**ჰამბურგი-გლადბახი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-აშტონ გოტცი

გლადბახი: ***ტრავმ***-ტორგან აზარი, ნიკო შულცი, იბრაჰიმა ტრაორე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 23 | 17 | 5 | 1 | 57-13 | 56 |
| 2.ლაიპციგი | 23 | 15 | 4 | 4 | 43-24 | 49 |
| 3.დორტმუნდი | 23 | 12 | 7 | 4 | 52-25 | 43 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 23 | 10 | 11 | 2 | 44-24 | 41 |
| 5.ჰერტა | 23 | 11 | 4 | 8 | 30-25 | 37 |
| 6.აინტრახტი | 23 | 10 | 5 | 8 | 26-24 | 35 |
| 7.კიოლნი | 23 | 8 | 9 | 6 | 31-25 | 33 |
| 8.ფრაიბურგი | 23 | 10 | 3 | 10 | 30-40 | 33 |
| 9.გლადბახი | 23 | 9 | 5 | 9 | 29-31 | 32 |
| 10.ლევერკუზენი | 23 | 9 | 3 | 11 | 36-38 | 30 |
| 11.მაინცი | 23 | 8 | 5 | 10 | 32-38 | 29 |
| 12.აუგსბურგი | 23 | 7 | 7 | 9 | 23-30 | 28 |
| 13.შალკე | 23 | 7 | 6 | 10 | 28-27 | 27 |
| 14.ვერდერი | 23 | 7 | 4 | 12 | 30-43 | 25 |
| 15.ვოლფსბურგი | 23 | 6 | 5 | 12 | 21-34 | 23 |
| 16.ჰამბურგი | 23 | 6 | 5 | 12 | 22-45 | 23 |
| 17.ინგოლშტადტი | 23 | 5 | 3 | 15 | 21-39 | 18 |
| 18.დარმშტადტი | 23 | 3 | 3 | 17 | 15-45 | 12 |

**იტალია**

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.03 ჯენოა-სამპდორია | 2.6 | 3.3 | 2.7 |
| 12.03 სასუოლო-ბოლონია | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 12.03 ინტერი-ატალანტა | 1.8 | 3.75 | 4.2 |
| 12.03 ფიორენტინა-კალიარი | 1.44 | 4.75 | 6.5 |
| 12.03 ნაპოლი-კროტონე | 1.12 | 8.5 | 19.0 |
| 12.03 კიევო-ემპოლი | 2.05 | 3.2 | 3.8 |
| 12.03 პესკარა-უდინეზე | 2.87 | 3.4 | 2.4 |
| 12.03 პალერმო-რომა | 6.5 | 4.4 | 1.4 |
| 13.03 ლაციო-ტორინო | 1.6 | 4.2 | 5.0 |

**ჯენოა-სამპდორია**

ჯენოა: ***ტრავმ***-ნიკოლა ნინკოვიჩი, ლუკას ობრანი, მიგელ ველოსო, მატია პერინი

სამპდორია: ***ტრავმ***-არავინ

**სასუოლო-ბოლონია**

სასუოლო: ***ტრავმ***-ლუკა ანტეი, პოლ ლიროლა, ფრანჩესკო მანანელი, დავიდე ბიონდინი

ბოლონია: ***ტრავმ***-ემილ კრაფტი, დანიელე გასტადელო

**ინტერი-ატალანტა**

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

ატალანტა: ***ტრავმ***-არავინ

**ფიორენტინა-კალიარი**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-არავინ

კალიარი: ***ტრავმ***-პაოლო ფარაგო, ლუკა კაპიტელი, ფედერიკო მელხიორი

**ნაპოლი-კროტონე**

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლორენცო ტონელი

კროტონე: ***ტრავმ***-ალეკსანდარ ტონევი

**კიევო-ემპოლი**

კიევო: ***ტრავმ***-არავინ

ემპოლი: ***ტრავმ***-ლევან მჭედლიძე

**პესკარა-უდინეზე**

პესკარა: ***ტრავმ***-ალექსანდრუ მიტრიტა, დავიდე ვიტურინი, ჩეზარე ბოვო, სომინე პეპე, ალბერტო ჯილარდინო, უგო კამპანარო

უდინეზე: ***ტრავმ***-ლუკას ევანგელისტა, ასანე გრუნკური, დავიდე ფარაონი

**პალერმო-რომა**

პალერმო: ***ტრავმ***-ჯუზეპე პეზელა, შტეფან სილვა, სლობოდან რაიკოვიჩი

რომა: ***ტრავმ***-ალესანდრო ფლორენცი

**ლაციო-ტორინო**

ლაციო: ***ტრავმ***-არავინ

ტორინო: ***ტრავმ***-ჯოელ ობი, კარლაო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 27 | 22 | 1 | 4 | 56-18 | 67 |
| 2.რომა | 27 | 19 | 2 | 6 | 58-25 | 59 |
| 3.ნაპოლი | 27 | 17 | 6 | 4 | 62-30 | 57 |
| 4.ლაციო | 27 | 16 | 5 | 6 | 47-29 | 53 |
| 5.ატალანტა | 27 | 16 | 4 | 7 | 42-26 | 52 |
| 6.ინტერი | 27 | 16 | 3 | 8 | 46-28 | 51 |
| 7.მილანი | 27 | 15 | 5 | 7 | 40-30 | 50 |
| 8.ფიორენტინა | 27 | 11 | 9 | 7 | 44-37 | 42 |
| 9.ტორინო | 27 | 10 | 9 | 8 | 51-43 | 39 |
| 10.სამპდორია | 27 | 10 | 8 | 9 | 34-33 | 38 |
| 11.კიევო | 27 | 10 | 5 | 12 | 29-37 | 35 |
| 12.სასუოლო | 27 | 9 | 4 | 14 | 35-42 | 31 |
| 13.კალიარი | 27 | 9 | 4 | 14 | 36-57 | 31 |
| 14.უდინეზე | 27 | 8 | 6 | 13 | 29-36 | 30 |
| 15.ჯენოა | 27 | 7 | 8 | 12 | 30-41 | 29 |
| 16.ბოლონია | 27 | 7 | 7 | 13 | 24-41 | 28 |
| 17.ემპოლი | 27 | 5 | 7 | 15 | 15-39 | 22 |
| 18.პალერმო | 27 | 3 | 6 | 18 | 23-53 | 15 |
| 19.კროტონე | 27 | 3 | 5 | 19 | 21-45 | 14 |
| 20.პესკარა | 27 | 2 | 6 | 19 | 28-60 | 12 |

**საფრანგეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.03 მონაკო-ბორდო | 1.5 | 4.0 | 5.0 |
| 11.03 მონპელიე-ნანტი | 2.0 | 3.1 | 3.4 |
| 11.03 რენი-დიჟონი | 1.8 | 3.2 | 4.0 |
| 11.03 ნანსი-ლილი | 2.5 | 2.75 | 2.8 |
| 11.03 გენგამი-ბასტია | 1.73 | 3.1 | 4.6 |
| 12.03 სტ.ეტიენი-მეცი | 1.55 | 3.4 | 5.5 |
| 12.03 ლიონი-ტულუზა | 1.4 | 4.2 | 6.0 |
| 12.03 ლორიანი-პსჟ | 8.0 | 4.6 | 1.28 |

**მონაკო-ბორდო**

მონაკო: ***ტრავმ***-ბოშალია, გუიდო კარილო, ანდრეა რაგი

ბორდო: ***ტრავმ***-მაქსიმ პუნდიე, ტომას ტურე, იუსუფ საბალი

**მონპელიე-ნანტი**

მონპელიე: ***ტრავმ***-ვილიამ რემი, ჯონათან იკონე, იორის მარვო, კაზიმირ ნინგა

ნანტი: ***ტრავმ***-სერჟიო ოლივეირა, კოფი ჯიჯი

**რენი-დიჟონი**

რენი: ***ტრავმ***-იოან გურკუფი, ედსონ მექსე

დიჟონი: ***ტრავმ***-მარვინ მარტინი, ფუად ჩაფიკი, პიერ მელო

**ნანსი-ლილი**

ნანსი: ***ტრავმ***-არავინ

ლილი: ***ტრავმ***-მარკო ბაშა

**გენგამი-ბასტია**

გენგამი: ***ტრავმ***-არავინ

ბასტია: ***ტრავმ***-ჟან-ლუი ლეკა, ენცო კრიველი, სებასტიან სკილაჩი

**სტ.ეტიენი-მეცი**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-რომან ჰამუმა, კევინ მალკო, ფლორენტინ პოგბა, ოლე სენლაესი, ჩეიკ მბენგუე, ალექსანდერ სოდერლუნდი, ოსამა ტანანე

მეცი: ***ტრავმ***-არავინ

**ლიონი-ტულუზა**

ლიონი: ***ტრავმ***-მაციე რიბუსი

ტულუზა: ***ტრავმ***-კლემენტ მიშელინი, დუშან ვეშკოვაჩი

**ლორიანი-პსჟ**

ლორიანი: ***ტრავმ***-არავინ

პსჟ: ***ტრავმ***-გრჟეგოჟ კრიხოვიაკი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 28 | 20 | 5 | 3 | 82-25 | 65 |
| 2.პსჟ | 28 | 19 | 5 | 4 | 56-19 | 62 |
| 3.ნიცა | 28 | 18 | 8 | 2 | 45-21 | 62 |
| 4.ლიონი | 27 | 15 | 2 | 10 | 55-32 | 47 |
| 5.ბორდო | 28 | 11 | 10 | 7 | 36-34 | 43 |
| 6.მარსელი | 28 | 12 | 6 | 10 | 40-37 | 42 |
| 7.სტ.ეტიენი | 28 | 10 | 10 | 8 | 31-22 | 40 |
| 8.რენი | 28 | 9 | 10 | 9 | 27-32 | 37 |
| 9.ტულუზა | 28 | 9 | 9 | 10 | 32-29 | 36 |
| 10.ანჟე | 28 | 10 | 6 | 12 | 28-35 | 36 |
| 11.გენგამი | 28 | 9 | 8 | 11 | 32-36 | 35 |
| 12.ნანტი | 28 | 9 | 7 | 12 | 24-41 | 34 |
| 13.მონპელიე | 28 | 8 | 9 | 11 | 40-46 | 33 |
| 14.კაენი | 28 | 9 | 4 | 15 | 29-46 | 31 |
| 15.მეცი | 27 | 8 | 7 | 12 | 26-51 | 31 |
| 16.ლილი | 28 | 8 | 6 | 14 | 27-36 | 30 |
| 17.ნანსი | 28 | 7 | 7 | 14 | 18-35 | 28 |
| 18.დიჟონი | 28 | 6 | 9 | 13 | 37-45 | 27 |
| 19.ბასტია | 28 | 5 | 10 | 13 | 24-38 | 25 |
| 20.ლორიანი | 28 | 6 | 4 | 18 | 28-57 | 22 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

ჩვენს საყვარელ

**მიხეილ ჟორჟოლიანს**

ვულოცავთ დაბადების დღეს!
მუდამ ბედნიერი, დღეგრძელი, ჯანმრთელი და წარმატებული ყოფილიყავი, ჩვენო მეგობარო!

*სიყვარულით,*
*„ახალი თაობა“*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# TV პროგრამა

## ორშაბათი 13 მარტი

07.00 დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერი — დიდი ბრიტანეთი" 08.00 "მადაგასკარის პინგვინები" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** 12.30 "სპორტის დაფა" 12.45 "კაცების დრო" 13.45 "ტელემანი" 14.00 "გურმანია" 14.30 "წიგნების თარო" 15.00, 03.00 "x სტუდია" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. **"ველვეტი"** 22.00 "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 23.00 "ერთგულება" [illegible] 23.20 მხ/ფ **"მეზა"** [illegible] 01.00 მხ/ფ **"მუზარადიანი ეშმაკები"** (გ.ჰოფი)

08.00 დ/ფ "ლუტიცია და მისი მგლები" 09.00 დ/ფ "ევროპის შუაგულში" 10.00 დ/ფ [illegible] 11.00 დ/ფ [illegible] 12.00 ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** 13.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 14.00 დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ანატოლიის გარგარი" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00 ტ/სერ. **"ჩიკაგოს პოლიცია"** 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო" 01.00 მხ/ფ **"ანდერგრაუნდი. ჯულიან ასანჟის ისტორია"**

05.50, 14.40 სერ. **"ელიფი"** 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. **"პატარძალი"** 11.20 სერ. **"ფიცი"** 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. **"სტამბოლის ორი სახე"** 18.45, 19.03 სერ. **"მოპარული ცხოვრება"** 20.55 სერ. **"ნამსხვრევები"** 22.00 [illegible] 23.30 სერ. **"აგენტურა"** 7-8 სერ. 01.30 მხ/ფ **"დიდი ოსტატი"** 03.45 მხ/ფ **"მეძებრების უფლება"**

